# საერთო გაზეთი

№44 (502) • 5 დეკემბერი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


# „ბოროტსა სძლია კეთილმან...“

საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ვულოცავთ ქალბატონ **სალომე ზურაბიშვილს!** გამარჯვებას ვულოცავთ **ქართველ ხალხს** და **„ქართულ ოცნებას“!** გამარჯვებას ვულოცავთ ამ გამარჯვების სულისჩამდგმელს და მის შემოქმედს ბატონ **ბიძინა ივანიშვილს,** რომელმაც კიდევ ერთხელ იხსნა საქართველო კატასტროფისგან.



**ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებას ვულოცავთ იმ 780 000 ქართველსაც, რომელმაც ამ არჩევნებში ხმა გრიგოლ ვაშაძეს მისცა და დამარცხდა – ეს დამარცხებაა თქვენი ხსნის და გადარჩენის შანსი, ძვირფასო 780 000 ქართველო!**



## კობა არაბული:

## „დრო გვიდგას მით უარესი...“

**ივანიშვილმა 5 სვეტიცხოველი, 5 სამების ტაძარი, 5 პირამიდა რომ დადგას, „ნაცები“ ყველას ერთად დაანგრევენ და დაწვავენ და კმაყოფილნი იქნებიან!**

## შოთა გლურჯიძე:

## პირდაპირ ვამბობ – ამ „მომღიმარი“ ულვაშების უკან, რომელიც ამ მაქცია ვაშაძეს აქვს, დგას ვოვა პუტინი



## ნიკა მჟავანაძე:

**სხვა გზა არ არის - „ქართული ოცნება“ პორტირებული „ნაცებისგან“ და შინაური მოღალატეებისგან უნდა გაიწმინდოს!**





## ლალი მოროშკინა:

## 3 დეკემბერს, ოპოზიციის მიტინგზე, მიხეილ სააკაშვილის დაკვეთით, გრიგოლ ვაშაძის მკვლელობა იგეგმებოდა





## მიხას ოცნების დასასრული



# „ბოროტსა სძლია კეთილმან...“

საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ვულოცავთ ქალბატონ **სალომე ზურაბიშვილს**!

გამარჯვებას ვულოცავთ **ქართველ ხალხს** და **„ქართულ ოცნებას“**!

გამარჯვებას ვულოცავთ **ყველა იმ ადამიანს, ვინც გამარჯვებისთვის ბოლომდე იბრძოლა** და არ დაუშვა ბოროტების, ძალადობის, ფაშიზმის დაბრუნება საქართველოში.

გამარჯვებას ვულოცავთ ამ გამარჯვების სულისჩამდგმელს და მის შემოქმედს ბატონ **ბიძინა ივანიშვილს**, რომელმაც კიდევ ერთხელ იხსნა საქართველო კატასტროფისგან.





დაბოლოს, „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ვულოცავთ იმ 780 000 **ქართველს**, რომელმაც მხარი გრიგოლ ვაშაძეს დაუჭირა და დამარცხდა;

მათ არ იციან, მათ წარმოდგენა არ აქვთ, რომ მათი ხსნა და გადარჩენა, მათი გამარჯვება „ნაცმოძრაობის“ დამარცხებაშია.

როგორც ჩანს, ისინი ვერ ხვდებიან და ვერ აცნობიერებენ, რა საბედისწერო ხიფათის შემცველია „ნაცმოძრაობისა“ და მისი ავანტურისტი და ქვეყნის გამყიდველი ბელადის, სააკაშვილის დაბრუნება ხელისუფლებაში.

ისინი ვერ ხვდებიან და ვერ აცნობიერებენ, რომ „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში რომ დაბრუნდეს, შეიძლება საქართველო დაუყოვნებლივ იქნას ჩათრეული ახალ, ფართომასშტაბიან ომში, რომელიც ქართული სახელმწიფოს დაშლით და განადგურებით დამთავრდება.

იმ 780 000 ადამიანს ვეკითხები: თქვენ საქართველოში არ ცხოვრობთ, მეგობრებო და მის თავს დატეხილი უბედურება თქვენ არ გეხებათ?

ის საქართველო თქვენი არ არის, რომლის ტერიტორიის 20% მოღალატე სააკაშვილმა ხონჩით მიართვა რუსებს?

არც ის საქართველოა თქვენი, სადაც შლეგი და პარანოიკი სააკაშვილი უდანაშაულო ადამიანებს ქუჩაში ხოცავდა, ათიათასობით ადამიანს ციხეებში ყრიდა, ქონებას ართმევდა, აყაჩაღებდა?

რომელ საქართველოში ცხოვრობდით თქვენ, რომ არაფერი გაგიგიათ, არაფერი გსმენიათ იმ შემაძრწუნებელი დანაშაულების შესახებ, რომელსაც სააკაშვილი და მისი ბანდა ცხრა წლის განმავლობაში ჩადიოდა?

ეტყობა, თქვენ არაფერი იცით იმ შემზარავი, ნორმალური ადამიანის გონებისთვის დაუჯერებელი საიდუმლოს შესახებაც, რომელსაც 2008 წლის აგვისტოს ომის საიდუმლო ჰქვია.

თქვენ ისიც არ იცით, რომ სააკაშვილისა და მისი თანამზრახველებისთვის თქვენც, ეს 780 000 ქართველი და დანარჩენი ქართველებიც, უკლებლივ ყველა, მხოლოდ საზარბაზნე ხორცი ხართ, იმ პროვოკაციების სისრულეში მოსაყვანად, რომელთა უპირობო განხორციელებაზეც „ნაცმოძრაობამ“ დიდი ხანია ხელი მოაწერა.

საქართველო „ნაცმოძრაობის“ ლიდერებისთვის სამშობლო კი არა ტერიტორიაა, რომელიც შეიძლება გაასხვისო, დაკარგო, გაყიდო და ვითომც არაფერი.

— რა ხმაური და განგაში ატეხეთ, 150 ქვაღორღიანი და კლდიანი სოფელი დავკარგეთო, — ეს სიტყვები სააკაშვილმა არ თქვა აგვისტოს ომის შემდეგ?

თუ დასჭირდა, ის მთელ საქართველოსაც ასე დაუნანებლად დაკარგავს, თვითონ, თავის ბანდასთან ერთად გაიქცევა, თქვენ კი უსამშობლოდ დაყრილებს, უსამშობლოდ დარჩენილებს, რომელიმე უცხო ქვეყნიდან მხიარულად დაგიქნევთ ხელს.

დიახ, თქვენ ძალიან ბევრი რამ არ იცით, ძალიან ბევრ რამეს ვერ ხვდებით, ძალიან ბევრ რამეს ვერ აცნობიერებთ, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ თქვენი ბრალი.

პირველყოვლისა, ეს, ალბათ, ბრალია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისა, რომელმაც გარედან თავსმოხვეული კოჰაბიტაციის თუ სხვა მიზეზების გამო ექვსი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა არგუმენტების, ფაქტების, დოკუმენტური მასალების მოშველიებით ნათლად, ობიექტურად, მიუკერძოებლად აეხსნა თქვენთვის, რას წარმოადგენდა და რას წარმოადგენს „ნაცმოძრაობის“ ელიტა და მისი ლიდერი.

„ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოახერხა ქართული ნიურნბერგის პროცესი მოეწყო 21-ე საუკუნის ქართული ფაშიზმისთვის და ამით გაეთავისუფლებინეთ თქვენ ამ ბოროტი ძალის ტყვეობიდან.

არა მარტო ხელისუფლებაა ამაში დამნაშავე, არამედ დამნაშავეა ქართული მედია, რომლის დიდმა ნაწილმა უდიდესი როლი ითამაშა „ნაცმოძრაობის“ კრიმინალური რეჟიმის და ამ რეჟიმის თავკაცების მორალური რეაბილიტაციისთვის.

სათანადო პრიონციპულობა და სიმტკიცე ვერც ქართულმა ეკლესიამ გამოიჩინა, რომელმაც შავს შავი არ დაარქვა და თეთრს თეთრი და რაღაც ნეიტრალური, შუალედური პოზიცია აირჩია.

ის კი არა, ქართულმა ეკლესიამ იმ მღვდელმთავართა ალაგმვაც კი ვერ მოახერხა, რომლებიც ღიად და დაუფარავად მოგვევლინენ „ნაცმოძრაობის“ აგიტატორებად და პროპაგანდისტებად.

ასე დარჩა 780 000 ქართველი „ნაცმოძრაობის“ სატანისტურ-კრიმინალური სექტის მძევლად.

არადა, 780 000 ქართველი კი არა, ერთი ქართველიც არ უნდა გვემეტებოდეს „ნაცმოძრაობის“ ტყვეობისთვის.

მომავალი 2019 წელი ფარისევლების, დემაგოგების, ულმერთოების, მოღალატეების, სადისტების და მანიაკების კლანჭებიდან ამ 780 000 ადამიანის გათავისუფლების წლად უნდა იქცეს.

2018 წელს ამ 780 000 ადამიანს ღვთის განგებით გაუმართლა და „ნაცმოძრაობა“ დამარცხდა, მაგრამ ქართველთყლაპია ეშმაკს არ ძინავს, ქართველთყლაპია ეშმაკი რევანშისთვის ემზადება და 780 000 ადამიანთან ერთად მთელი საქართველოს გადასანსლვას აპირებს.

კიდევ ერთხელ ვთქვათ: არული კუდიანებს! არა „ნაცმოძრაობას“! არა ძალადობას! არა ფაშიზმს! არა სააკაშვილს!

გვჯეროდეს და გვწამდეს, რომ „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

ღმერთი იყოს საქართველოს მფარველი!

**ვახტანგ ხარჩილავა**

**ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებას ვულოცავთ ყველას და მათ შორის იმ 780 000 ქართველსაც, რომელმაც ამ არჩევნებში ხმა გრიგოლ ვაშაძეს მისცა და დამარცხდა – ეს დამარცხებაა თქვენი ხსნის და გადარჩენის შანსი, ძვირფასო 780 000 ქართველო!**







„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# „დრო გვიდგას მით უარესი: პავლედ ქცეული სავლესი“

## ივანიშვილმა 5 სვეტიცხოველი რომ დადგას, 5 სამების ტაძარი, 5 არტემიდეს ტაძარი, 5 პირამიდა და ალექსანდრიის შუქურა, „ნაცები“ ყველას ერთად დაანგრევენ და დაწვავენ ჰეროსტრატეებივით და კმაყოფილი იქნებიან!

სამწუხაროა, როდესაც მტერი „გულადი“ გყავს და უღირსი!

თემმა იცოდა, ვინ იყო „ღირსეული“ მტერი, ზურგიდან ღალატით რომ არ მოგკლავდა. ამიტომ არსებობდა „ღირსეული“ მტრის ფენომენი.

ღირსეული მტერი იყო ალუდასთვის მუცალი. მამაცმა სალადინმა დამარცხებული ჯვაროსნები დაინდო და მშვიდობით გაუშვა იერუსალიმიდან!

ხოლო შინაური ბოროტი მტერი „მტრისაცა უფრო მტერია“, ამბობს სიბრძნე.

ნაცები სწორედ ასეთ დაუნდობელ ბოროტ შინაურ ძალად იქცნენ.

სრულიად განსხვავებული ქართული ეროვნული მენტალობისგან და მორალისგან ანომალიური ქცევით და თვისებებით.

მათ საკუთარ სივრცეში შეუძლიათ გადაიბირონ და გადაიყვანონ საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ჩაასხა სულში შხამი და ატარონ ასე მოწამლული და შეცდენილი.

რა ეშველება ახლა ჩარკვიანის ქალს, სამუდამოდ რომ გააუბედუროს, კიდევ კარგი, ჯანსული ცოცხალი აღარ არის, გაასწრო ამ კოშმარს! თუმცა, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ქალიშვილს ამის ნებას ნამდვილად არ მისცემდა!

კიდევ ბევრჯერ გაახვევს ეს ქალბატონი საკუთარ ქმარსაც და სხვებსაც უსიამოვნო ინსინუაციებში.

ჩვენ ვერ ავირიდეთ ნაციონალების ფაშისტურ-სექტანტურ-ჰიქსოსური ხროვა, მათი ცინიზმი და მავნებლობა! მთლიანად „გააფუჭეს“ ერი და საზოგადოება, მისი ცნობიერება, ნავთს რომ ჩაასხამ ღვინოში და აღარ იფილტრება...

ამათ არც პრეზიდენტი უნდათ და არც სახელმწიფო! რომელიღაცა პოლიტიკური „ჯუნგლებიდან“ მოსულ „ანკლავს“ ურჩევნია, რომ აქაც „ჯუნგლები“ იყოს. ამათ არც მონანიება შეუძლიათ, არც აღიარება!

ესენი ქვეყანას არ აგაშენებინებენ!

არ უნდათ, არ დაენახვებათ საქველო კეთილი საქმის მკეთებელი!..

ივანიშვილმა 5 სვეტიცხოველი რომ დადგას, 5 სამების ტაძარი, 5 არტემიდეს ტაძარი, 5 პირამიდა და ალექსანდრიის შუქურა, „ნაცები“ ყველას ერთად დაანგრევენ და დაწვავენ ჰეროსტრატეებივით და კმაყოფილი იქნებიან!

არ უნდათ სიმშვიდე (მშვიდობა), სიკეთე, სათნოება, უნდათ რაღაც სხვა: ომი, ფაშიზმი, რევანშიზმი, ანარქია, ქაოსი და ამ ქაოსის მღვრიე წყალში ჭაობის ნიანგივით ცხოვრება და თევზის ჭერა!..

მართლაც საიდან მოვიდნენ და როგორ ჰგვანან ერთმანეთს მათი ქალები და კაცები (ერთი დინოზავრის კვერცხიდან გამოჩეკილივით) მელია-ვაშაძეები, ქალის სათნოებას და ღირსებას მოკლებული სამადაშვილი-დეკანოიძე-კვესიტაძე-სამნიძეები...

საიდან ამოთხარეს ვინმე „ფილოსოფოსი მაჭუტაძე“ — დააჭერენ თითს და ჩაირთვება „ნაწვიმარი ბაყაყივით“.

როგორ არიან ყველანი ერთნაირად ბოროტი და დაუნდობლები, სხვა არც კაცი უნდათ და არც — ქალი! არ ინდობენ ადამიანს, მის ღირსებას.

არ ინდობენ პრეზიდენტად მოვლენილ ქართველ მანდილოსანს, ღვთის ნებით გამოცხადებულს მილიონნახევარი ქართველის ხმით ამორჩეულს!

გამორჩეულს თავისი შარმით, თავისი გენეტიკური და ისტორიული ბედისწერით... სამშობლოზე შეყვარებულს და მონატრებულს, რუსოფილობას სწამებენ, მართლაც რომ რუსის აგენტები, ქართულის არმცოდნე და არმცნობი რენეგატები!..

●

ამ ნაცისტურ კასტას ღირსეულად არც გამარჯვება შეუძლია და არც დამარცხება!

მახსოვს მათი ველურებივით შემოჭრა პარლამენტის სხდომათა დარბაზში, ტრიბუნაზე ჭიქები რომ ამოხვრიპეს... მერე ქვეყანას მოედვნენ მონღოლებივით და ააოხრეს! არ დამავიწყდება, როგორ მიჰქონდა უგულავას ასლან აბაშიძის (აბაშიძეების) ქონება, მანქანები, ზანური თხები, კავკასიური ნაგაზები, დაარბიეს ბიზნესმენთა ქონება და ფერმები, ააფეთქეს ეკლესიები, კოშკები, მონუმენტები...

●

სამწუხაროდ, დაავიწყდა ეს აოხრება ზოგ-ზოგ ქართველს, მით უფრო კრწანისისა და ბახტრიონის



მეომარ კახელთა უმადურობისა და „ვირო, მადლიოს“ სინდრომი (ვირუსი) შეეყარათ!

— როგორ გაამარჯვებინეთ სააკაშვილს ამ ლიბერასტულ-ნაცისტურ, სრულიად არაქართულ ხროვას თელავში?!

მეფე ერეკლეს ქალაქში ერეკლეს მტრებს და მაგინებლებს როგორ მოაგებინეთ, როგორ მოახერხეთ ეს?

როგორ გაამარჯვებინეთ ამ ახალი საუკუნის „ჰიქსოსებს“ რუსთავში (რუსთაველის ქალაქში) თქვენ, „ბოსტან-ქალაქელნო?“

ერისთვის კრიზისული დროის შეცდომა, ძალიან სამარცხვინო და საგანგაშო (ანომალიური) მოვლენაა ეს, რაც თელაველთ და რუსთაველთ არ ეპატიებათ!

●

ნაცებს — ვაშაძეებს და სააკაშვილებს — ჰყოფნით უტიფრობა და უზნეობა იმისთვის, რომ „არ ჰყოფნის“ სალომე ზურაბიშვილის 20%-იანი უპირატესობით მოგება, მათ არც 90% ეყოფოდათ!

დეკანოიძეების, მელიების და გვარამიების პარტიას და მათ მორალს არ ჰყოფნის მილიონნახევარი ქართველის ხმა, სანამ ეს „ხმები“ მათ მთლიანად (ბოლომდე) არ გადაუვლიან!

მათ „კლონირებულ ტვინში“ არა აქვთ ეროვნული ინტერესის და ემოციის ადგილი, ჭეშმარიტების უჯრედი...

ისინი შეპყრობილნი არიან ცხოველური შურისძიების (რევანშის) ინსტინქტით და ვერ გამოდიან მათი მამა-მარჩენალის, ჩვენი დროის სამარცხვინო პოლიტიკური შარლატანის „მუცლიდან“!..

●

და კიდევ, მეოთხე და მთავარი:

ხელისუფლებამ დღესვე (ახლავე) უნდა დაიწყოს საკუთარი მისიის აღსრულება ერის (ხალხის) ინტერესების გაცხადებისთვის ბრძოლა...

უნდა დაძლიოს „შიში“ და ეგრეთ წოდებული „უნიათობის“ სინდრომი, რომელიც მას მიაკერეს...

და მკვეთრად დაუპირისპირდნენ ყველა ნეგატიურ მოვლენას ერის შიგნით და მის გარეთაც:

— დაუპირისპირდნენ სატანისტურ ენერგიებს, გარედან მოთვალთვალე სფინქსის ნებას;

— დაძლიონ ორჭოფობა და შიში, დაიწყონ „პატრიოტთა ალიანსის“ წინადადებათა მოსმენა და აღსრულება, მხარი დაუჭირონ მას;

— დაიკავონ ერის ზნეობრივი სივრცე „სიტყვის აურით“ და პატრიოტული იდეოლოგიით, ზომბირებული, ამორალური გარემოს შესაცვლელად;

— ამისთვის კიდევ უფრო „გააქტიურონ“ „იმედი“ და I არხი;

— შეუცვალონ საზოგადოებრივ ტელევიზიას ნაცების ნაგუბერნატორალი დირექტორი და მიეცეს ამ არხს სახელმწიფოსა და ერის ინტერესების დაცვის მისია;

— დაიწეროს დაუყოვნებელი პასუხის გაცემის კამპანია ყოველ ცილისწამებაზე, სიტყვიერ ძალადობაზე, ერის და ეკლესიის შეურაცხყოფაზე, სიცრუეზე, დეზინფორმაციაზე, სახელმწიფოს ობსტრუქციაზე, აჯანყების და გადატრიალების პროპაგანდაზე;

— შეიკრიბოს რჩეულ ერისკაცთა — თემთა და უხუცესთა მუდმივმოქმედი დარბაზი (საბჭო, კონგრესი) დაუძახონ მათ, ვინაც გაიყვანეს „ქართული ოცნებიდან“;

— ხელისუფლებამ ტელევიზიის რამდენიმე არხზე დასვას ინტელექტუალური-საკრალური (ქარიზმული) პიროვნებანი, რომლებიც ჩამოაყალიბებენ სახელმწიფოს მართვის კონცეფციას, კულტურულ-ეკონომიკური და ზნეობრივი დაცვის პირამიდას, სამხედრო დოქტრინას;

— ეს უნდა იყოს სრულიად არაორდინარული, ნიჭიერ პიროვნებათა ქადაგებანი ერის და ხალხის საკეთილდღეოდ და საიმედოდ.

●

— ჯარი ხმას არ უნდა აძლევდეს ნაცებს, ჯარი სახელმწიფოს უნდა იცავდეს საკუთარი „ხმით“ და იარაღითაც...

— ემიგრანტები მხარს კი არ უნდა უჭერდნენ ნაცებს, აქ უნდა დაბრუნდნენ და გააცნობიერონ, რა ხდება მათ სამშობლოში!

●

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ვეუბნები:

— ამდენი რამე რომ გააკეთეთ, ააშენეთ. მოხანით, დათესეთ, გზა არხოტშიც კი ჩაიყვანეთ, მუცო აღადგინეთ, „მთის კანონი“ მიიღეთ, ერთ ქვეყანას მარტო ივანიშვილის ქველობანი ეყოფოდა „საკვეხად“ და საამაყოდ, 80 მილიონი თავზე დააყარა კახელებს და ა. შ.

მაგრამ რომ არავინ არაფერი იცის?! რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო და დაინახა?! ვისი და რისი ბრალია ეს?!

— დააყენეთ შესატყვისი პიროვნებები თანამდებობებზე! გაუშვით ჯგუფები რეგიონებში, ისტორიულ კუთხეებში, პროვინციებში, ამბის მიმტანი „პილიგრიმები“, ექსპერტები, მეცნიერებათა აკადემია, მწერლების და ხელოვანთა ექსპედიციები. მიიტანეთ ხალხამდე სიტყვა და სიმართლე!

— ხალხამდე მიიტანეთ ის სიკეთე და პირობა, რასაც აკეთებთ და რაც უნდა გაკეთდეს და დაიწყეთ კეთება!

— დასვით ტელევიზიებში „ქადაგი“, ორატორი, მესიტყვე ადამიანები და ალაპარაკეთ; აჩვენეთ ფაქტები ვიდეო-ფილმებით. თქვენ გაქვთ ძალაუფლება, თქვენ გაქვთ ფული, თქვენ გაქვთ საკონსტიტუციო ძალაუფლება და წყალში ყრით ამ ძალაუფლებას და უპირატესობას! თავზე ისხამთ და თავზე ასვამთ ერს სააკაშვილის ნაძირლებს...

ეს უნდა დამთავრდეს!

**კობა არაბული**
მწერალი, ეთნოლოგი
595 57 99 43



# 3 დეკემბერს გაერთიანებული ოპოზიციის მიტინგზე მიხეილ სააკაშვილის დაკვეთით გრიგოლ ვაშაძის მკვლელობა იგეგმებოდა

## შსს-მ, სახელმწიფო უსაფრთხოების და კონტრდაზვერვის სამსახურებმა საქართველო დიდი განსაცდელისგან იხსნეს





**2 დეკემბრის ღამეს, გაერთიანებული ოპოზიციის აქციამდე რამდენიმე საათით ადრე, ლიახვის ქუჩაზე სპეცოპერაცია ჩატარდა, სადაც უკრაინის 6 და საქართველოს ერთი მოქალაქე დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულებს შორის დონბასში მებრძოლი ლუკა ჩხეტიაა.**

**სპეცოპერაციის მეორე დღეს ჟურნალისტმა ლალი მოროშკინამ „ობიექტივის" ეთერში სკანდალურ ინფორმაციას გააჟღერა. მისი თქმით, საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაკვეთით, იგეგმებოდა გრიგოლ ვაშაძის მკვლელობა, რისი მიზანიც ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნა იყო.„ქვეყანამ აიცილა ძალიან სერიოზული არეულობა. დაგეგმილი იყო ვაშაძის მკვლელობა და გუშინ, ჩვენ კადრებშიც კარგად ვნახეთ, რომ მას საკმაოდ სქელი ჯავშანჟილეტი აცვია და ძალიან შეშინებულია. ზოგადად, ნებისმიერი ადამიანისთვის, ვისაც ეტყვიან, რომ "შენ ხარ სამიზნე", ძალიან რთულია ამის გადატანა, თუ ის არ არის პროფესიონალი სამხედრო..." – განაცხადა ლალი მოროშკინამ.**

**სწორედ მოსალოდნელ დესტაბილიაციაზე და ყოფილი პრეზიდენტის რევოლუციურ გეგმებზე ვესაუბრეთ ლალი მოროშკინას ლიახვის ქუჩის სპეცოპერაციამდე ერთი დღით ადრე და პირველი კითხვაც სწორედ მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ დავუსვით:**





**– ქალბატონო ლალი, მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ოპოზიცია და მისი ლიდერები მშვიდობიანი პროტესტის შესახებ საუბრობენ, საზოგადოებაში არსებობს განცდა, რომ სადღაც იწერება ხელისუფლების შეცვლის რევოლუციური სცენარი.**

– ჩვენ ვიცოდით ამ სცენარის შესახებ. მასობრივი არეულობის და სისხლიანი სცენარის დროს სააკაშვილი განსაკუთრებით კომფორტულად გრძნობს თავს, მაგრამ ავიწყდება, რომ რევოლუციის დროს მთავარი მოქმედი პირი ადგილზე უნდა იყოს. ოდესღაც ლენინმა შეძლო დისტანციურად რევოლუციის მოწყობა, მაგრამ მაშინ ხალხი მზად იყო ამისთვის. დღეს ხალხს მშვიდად და მშვიდობიანად ცხოვრება უნდა. როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში ხალხი ნელ-ნელა გამოდის სააკაშვილის დანატოვარი შოკური მდგომარეობიდან და უკან დაბრუნება არ სურს. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტურზე არჩევნებზე მისვლის დიდი სურვილი არ გვქონდა და ძალიან სკეპტიკურად ვუყურებდით ბევრ რამეს, მეორე ტურზე ყველა ერთსულოვნად მივედით. ერთმანეთს ვუკაკუნებდით კარებზე, რომ არ დაგვეგვიანა, მოხუცები გამოგვყავდა სახლებიდან, რომ ხმა არ დაკარგულიყო. წარმოდგენაც კი არ მინდა, რომ შეიძლება საქართველოს ყოლოდა პრეზიდენტი, რომელიც ქალზე ამბობს, რომ უსულო საგანია. ეს არის ქვეყნის კატასტროფა.

**– საუბრის დასაწყისში ბრძანეთ, რომ იცოდით რევოლუციური სცენარის შესახებ. კონკრეტულად რა ინფორმაცია გქონდათ?**

– ვიცოდით, რომ რეგიონები ემზადებოდნენ არევისთვის და ცალკეული ჯგუფები გასულებიც იყვნენ ასარევად. ვიცოდით, რომ ეს უნდა დაწყებულიყო გარეუბნებიდან, ამიტომ სასაზღვრო ადგილებში და კონფლიქტურ ზონებთან სიტუაცია იძაბებოდა. პრაქტიკულად, საბოლოო შედეგს ელოდნენ, რომ დაწყებულიყო სერიოზული არევა, მაგრამ შსს-მ ძალიან კარგად იმუშავა. საოცრად მობილიზებული იყო სახელმწიფო უსაფრთხოების და კონტრდაზვერვის სამსახურები. გმირობის ტოლფასი იყო, რაც გახარიამ სამეგრელოში გააკეთა, სადაც განსაკუთრებით მობილიზებული იყო ერთი ჯგუფი. არჩევნებიდან ერთ საათში უკვე ცხადი იყო, რომ ვაშაძე დამარცხდა. ამან ისე გაამწარა სააკაშვილი, რომ აგრესიას ვერ იკავებდა. ფსიქიკის სრული ნგრევა იყო, როდესაც ის ჯარს, პოლიციას და ა.შ. დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებდა და სწორედ ზემოთხსენებული სტრუქტურების გამართული მუშაობის შედეგად, ეს თავიდან ავიცილეთ. თუმცა, აქვე უნდა უნდა ვთქვათ, რომ ისეთი სახელმწიფო მოხელეებიც გვყავს, რომლებმაც არათუ რისკები ვერ აიცილეს, საერთოდ არ უმუშავიათ ამ მიმართულებით.

**– იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რომელ სახელმწიფო მოხელეებს გულისხმობთ?**

– მაგალითად, იზორიას, რომელმაც ვერ შეძლო, რომ ჯარში ნდობა მოეპოვებინა და სამხედროებმა სრული იგნორი გაუკეთეს. იგივეს ვიტყვი ქალაქებების მერებზე, სადაც შედეგი არ დადგა. ის სამი რაიონი, სადაც „ოცნებამ" არჩევნები წააგო, იმ ადამიანებზე მეტყველებს, რომლებსაც ეს რაიონები ებარათ. ეს იმ ადამიანების პირადი პასუხისმგებლობაა, რომლებმაც არ იმუშავეს. მუშაობაში ვგულისხმობ ადამიანების გულთან ახლოს მისვლას, იმედის მიცემას, დაპირებას, იმიტომ, რომ რეალურად, ეს 6 წელი ოცნებამ შეცდომებით იარა. შეცდომებთან ერთად, პიარი ან საერთოდ არ ჰქონდათ ან არ უვარგოდათ. მე ხშირად მიწევს მგზავრობა განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოს მიმართულებით. ვხედავდი ახალ ავტობანებს და ვერ ვხვდებოდი, როდის გაიხსნა, იმიტომ, რომ ამაზე არავინ საუბრობდა. ვხედავდი რეალურად გაკეთებულ საქმეებს, მაგრამ ვერ ვხედავდი ხალხს, რომლებიც ამაზე ისაუბრებდნენ. მარტო „C" ჰეპატიტის პროგრამა ეყოფოდა სალაპარაკოდ რამდენიმე მთავრობას.. ცალკე თემაა ეს დამღუპველი კოჰაბიტაცია. აქამდე იმიტომ მივედით, რომ თავის დროზე მთავარ ოპოზიციურ ძალად არა ალიანსი, არამედ, ანაციონალების ანასხლეტები ვაღიარეთ. სწორედ ამ შეცდომების დამსახურებით მოხდა, რომ ბევრმა ადამიანმა, რომელმაც ხმა მისცა ნაციონალურ მოძრაობას, უბრალოდ, ხმა არ მისცა „ოცნებას" და ეს ამ განაწყენებული ადამიანების ერთგვარი რევანში იყო. დიდი შეცდომა იყო, რომ ინაშვილს გაუყალბეს საპარლამენტო არჩევნები, რომ კანცელარიასთან შიმშილობდა და მასთან არავინ გამოდიოდა. ისეთი ადამიანების უგულებელყოფა მოხდა, რომელთა უკან მართლა ასიათასობით ადამიანი დგას, რაც „პატრიოტთა ალიანსის" მრავალათასიანმა აქციამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა. თუმცა, ზოგი ჭირი მარგებელია. ალბათ, კარგად უნდა დაგვენახა ვის შეუძლია ხალხის გამოყვანა, ვისი სჯერა ხალხს, ვინ არის ხალხის ერთგული და რეალურად, ვინ მოიგო არჩევნები. ჩვენ ხომ ვიცით, რომ არჩევნები ქართველმა ხალხმა მოიგო, რომელსაც ერთმანეთი გამოჰყავდა არჩევნებზე.

**– თუმცა, გაერთიანებული ოპოზიცია არჩევნების შედეგებს არ აღიარებს და ხელისუფლებას ულტიმატუმების ენით ელაპარაკება.**

– ეს უკვე აღარ არის აქტუალური, იმიტომ, რომ არჩევნების შედეგები ჯეიმს აპატურაიდან და ამერიკის საელჩოდან დაწყებული, პრაქტიკულად, ევროპის ყველა ქვეყანამ აღიარა. საკმაოდ ღირსეულად მოიქცა „ევროპული საქართველო" და დათო ბაქრაძე, რომლისგანაც არანაირი ლოზუნგები არ გამიგია. მათ პირდაპირ უარი თქვეს ქუჩის აქციებზე. მეორე მხარეს ვხედავთ აგრესიულ,



არაადეკვატურ ადამიანს, რომელიც იმის ნაცვლად, რომ მიულოცოს, ქალს უყვირის, – უსულო საგანი ხარო.. მე არ ვიცი ვინ თქვა, რომ ამ ადამიანს დიპლომატიის რამე ნასახი აქვს. შესაძლოა, ეს იყო ფსიქოზი და შოკური მდგომარეობა, მაგრამ როცა პრეტენზია გაქვს ქვეყნის პირველი პირი გახდე, ნებისმიერ შოკებს უნდა გაუძლო. ასეა თუ ისე, არჩევნების გარდა, ნერვების ომიც სალომე ზურაბიშვილმა მოიგო. მიუხედავად ამ საშინელი ჭაობისა, ქალს ნერვი არ შეტოკებია, ღიმილი არ მოშორებია სახიდან და ერთხელაც არ გაუკეთებია უცენზურო განცხადება. სამართლიანობა მოითხოვს ავღნიშნო, რომ 40% კარგი მაჩვენებელია და ნაციონალურ მოძრაობას საპარლამენტო არჩევნებისთვის კარგი შანსები აქვს, თუ მოიცილებენ თავიანთი რიგებიდან ექსტრემალურ პიროვნებებს.

**– ამერიკელმა მკვლევარმა, ლინკოლნ მიტჩელმა “კვირის პალიტრასთან” საუბრისას განაცხადა, რომ ვაშაძის დამარცხებაში სააკაშვილის როლი უმთავრესია.“ნაციონალური მოძრაობისთვის” ის თავსატეხია, თუმცა მისი მხარდამჭერების წყალობით “ნაცმოძრაობა” ქვეყანაში კვლავ მეორე მსხვილ პოლიტიკურ ძალად რჩება“ – ეს მიტჩელის სიტყვებია.**

– საქმეც ისაა, რომ ნაციონალურ მოძრაობაში ვერასდროს ახერხებენ ამ აგრესიული სახეების შეჩერებას. მათი რამდენიმე ლიდერისგან გაგვიგია კიდეც, რომ სააკაშ-



ვილი ვერ დაადუმეს. სწორედ სააკაშვილის აგრესიული რიტორიკა იყო „ოცნების“ ყველაზე დიდი პიარ ტექნოლოგი და გამარჯვებაში ეხმარებოდა.

**– იგივე ბრალდებები სალომე ზურაბიშვილის მისამართითაც ისმოდა. მომავალ პრეზიდენტს საყვედურობდნენ, რომ მისი ყოველი გამოსვლა „ოცნებას“ მომხრეებს აკარგვინებდა და ამიტომ გადამალეს..**

– მე ასე არ ვფიქრობ, თუმცა აღსანიშნავია, რომ სალომეს ის ხალხი აქილიკებდა, რომელიც მის გამინისტრებას ტაშს უკრავდა. ეს ადამიანი ძალიან უარყოფით პიარში მოაქციეს, იმიტომ, რომ კარგად ვერ წარადგინეს და ჯეროვანი პრეზენტაცია არ ჰქონდა. დღეს რომ ვუყურებთ ძალიან ლამაზ და გულის ამაჩუყებელ სიუჟეტებს სალომეს ოჯახის ცხოვრებიდან, ეს ყველაფერი გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო. სალომე პოზიცონირებული უნდა ყოფილიყო როგორც პროდასავლელი პოლიტიკოსი და ძალიან კარგი დიპლომატი. ამ ძალიან ღირსეულ ქალბატონს არანაირი დახმარება არ ჰქონია „ოცნებიდან“ ბოლო წამამდე. პირიქით, თავად „ოცნების“ წარმომადგენლები უფუჭებდნენ საქმეს. ეს ჩემთვის ნაცნობია, რადგან პირადად გამივლია ეს წნეხი, როდესაც ოცნების დროს თანამდებობაზე ვიყავი დანიშნული. როგორც კი მე გავამახვილე ყურადღება ძალიან დიდ პრემიებზე, შეცდომებზე და გადაცდომებზე სასჯელაღსრულებაში, ერთ დღეში გადამთელეს დეპუტატებმა. წარმომიდგენია, რას განიცდიდა სალომე, როცა მიხვდა, რომ თანაგუნდელებში მეტი მტერი ჰყავდა.

**– შეგიძლიათ სალომე ზურაბიშვილთან დაპირისპირებული თანაგუნდელები დაასახელოთ?**

– ბიძინა ივანიშვილის გარდა, მიჭირს დასახელება ვინ იყო მის მხარეს. ალბათ, ყველაფერთან ერთად, ეს იყო ქართული, ხალხური შური და კავკასიური აზროვნება- არ გაატარო და დააკნინო ქალი. სამწუხაროდ, არასამთავრობოები, რომლებიც გრანტებს იღებდნენ ქალზე ძალადობასთან ბრძოლისთვის, თავად აღმოჩნდნენ ქალზე მოძალადეები. მამაკაცები ყველაფერს კადრულობდნენ, რომ ქალისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ და ოცნება ამაზე კულუარებში ქილიკობდა, რაც ძალიან კარგად ვიცი.

სხვათა შორის, საზღვარგარეთ ჩატარებული არჩევნების შედეგებზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა იმან, რომ საფრანგეთსა და იტალიაში არაჩვეულებრივი ელჩები გამოცვალეს. ამით ძალიან ჩამოიშალა სიტუაცია ევროპაში. მიუხედავად იმისა, რომ დავით ზალკალიანს პირადად ვიცნობ, ვფიქრობ, რომ მან იზორიასთან ერთად უნდა დატოვოს თანამდებობა. ზოგადად, ქვეყანას ჭირდება ძლიერი გუნდის შექმნა, რომელიც საკუთარ ჯიბეზე კი არა, ქვეყნის აღმავლობაზე იქნება ორიენტირებული. წინასაარჩევნოდ კახი კახიშვილის „ჩრდილში“ გადაყვანაც ხომ ბოროტის გაკეთებულია?



კახიშვილი ჩემი მეგობარია და ზუსტად ვიცი, შიგნიდან როგორ „ჭამდნენ“, როგორ არ სიამოვნებდათ მისი წინსვლა და მისი წარმატებული, ევროპული რეფორმები.

**– შეიძლება, რომ კახიშვილი რომელიმე სხვა, უფრო აქტიურ პოზიციაზე ვიხილოთ?**

- ვისურვებდი, რომ ასე მომხდარიყო. იმ ადამიანების „ჩაჩოჩებით“, რომლებიც რეალურად მუშაობდნენ ძალიან ბევრი რამე გაფუჭდა. მთელ მსოფლიოში ასეა, რომ არჩევნებამდე მიდიან საჩუქრებით მიდიან და არჩევნების შემდეგ იწყება ხისტი ნაბიჯები. ჩვენთან პირიქით მოხდა. რატომღაც ხისტი ნაბიჯებით გადავწყვიტეთ არჩევნების მოგება.. საინტერესოა, ვის თავში „მოიხარშა“ ეს პიარი? საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ საკუთარი გუნდისგან მოტყუებული და აბსოლუტურად გაჭაღარავებული ბიძინა ივანიშვილი ჩაერევა წკეპლით ხელში და ძალიან სერიოზული ცვლილებები იქნება. ვფიქრობ, რომ აუცილებლად უნდა დაბრუნდეს თუნდაც 10-კაციანი ნდობის ჯგუფი, რომელსაც პირადად ბიძინა ივანიშვილთან ექნება კონტაქტი. დაარქვას თუნდაც „ჩაი ჩაკითხვით“, ჩაგვეკითხოს ყველაფერზე, რაც აინტერესებს და ჩვენ სრულ და ობიექტურ სურათს დავდებთ. 2020 წლამდე ცოტა დრო რჩება და შედეგის მისაღწევად მთელი ძალით და მონდომებით მუშაობაა საჭირო. ხელისუფლებას სხვა გზა და გამოსავალი უბრალოდ, არ აქვს.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# სამი „წინასწარმეტყველი“ „საერთო გაზეთიდან“ და ქალბატონი გულიკოს ჯადოქრული კალკულატორი

## როგორ მოახერხა „საერთო გაზეთმა“ არჩევნების წინა დღეს არჩევნების რეალურ შედეგებთან ყველაზე მეტად მიახლოებული პროგნოზი დაედო?

მართლაც საოცრება არ არის, როგორ მოახერხა „საერთო გაზეთმა“ არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, არჩევნების საბოლოო შედეგებთან ყველაზე მეტად მიახლოებული პროგნოზი გამოეთვალა, რომელიც „საერთო გაზეთის“ 27 ნოემბრის ნომერში პირველ გვერდზე გამოქვეყნდა?

ჩვენ არც „გელაპი“ გვყავდა და არც „სელაპი“, არც „ედისონ რიჩერსი“ და არც „ედისონ ფიქჩერსი“, არც სოციოლოგიური კვლევებით შეგვიწუხებია თავი და არც საველე სამუშაოებით, არც კაჭკაჭიშვილებისთვის დაგვიძახნია და არც ბულბულაშვილებისთვის, შევიკრიბეთ სამი კაცი, რედაქციის ბუღალტერს ქალბატონ გულიკოს ვუხმეთ თავისი კალკულატორით, დავსხედით, გავაანალიზეთ, მივუმატეთ, გამოვაკელით, გავამრავლეთ, გავყავით, მერე ისევ შევკრიბეთ და ზუსტად ის შედეგი მივიღეთ, რაც ცესკომ გამოაცხადა — 60% — სალომე ზურაბიშვილი, 40% — გრიგოლ ვაშაძე.

მართალია, 40% ცრუპენტელა გრიგოლ ვაშაძისთვის ვერ გავიმეტეთ — მის 40%-ს 4% ჩამოვაჭერით და სალომე ზურაბიშვილის 60%-ს დავუმატეთ, მაგრამ სხვა კვლევებთან შედარებით მაინც ყველაზე ზუსტი ციფრები დავდეთ — 64% — 36%.

რამდენმა ავტორიტეტულმა თუ არაავტორიტეტულმა ორგანიზაციამ იმუშავა, რამდენმა ადამიანმა იწვალა და იჯახირა, რამდენი დრო და ენერგია დაიხარჯა, რამდენი მილიონი გაიცა და მაინც არაფერი — „საერთო გაზეთის“ სამკაციანმა ჯგუფმა და ქალბატონმა გულიკომ თავისი 10-ლარიანი კალკულატორით ყველას „გადაუჯოკრა“, ისე, რომ არც ერთი თეთრი არ დახარჯულა.

ხომ არის ეს სასწაული?

არა, სულაც არ არის ეს სასწაული, ეს ყველაფერი იმის დადასტურებაა, რომ რეალურ სურათთან მიახლოებული ზოგადი სურათი რომ მიიღო, ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი, დღედაღამ „მკითხავებში“ ირბინო და ამაში უზარმაზარი ფული ხარჯო — ამას სჯობია, ყურადღებით იკითხო გაზეთები, ყურადღებით უყურო და უსმინო ტელე და რადიო გადაცემებს, თვითონ შენ ან შენი ნდობით აღჭურვილმა პირებმა ხშირად იაროთ ხალხში და ყური მიუგდოთ, რას ფიქრობენ შენზე, შენს პარტიაზე, შენს ხელისუფლებაზე შენი ქვეყნის მოქალაქეები, მერე განმარტოვდე, ყველაფერი ეს გააანალიზო და სათანადო დასკვნები გამოიტანო.

მკითხავები-მეთქი, ვთქვი ზემოთ და შეიძლება ამით ვიღაცებს ვაწყენინე, მაგრამ განა მკითხაობა არ არის, როდესაც სამი სხვადასხვა პრესტიჟული და ავტორიტეტული ორგანიზაცია ერთსა და იმავე კითხვაზე სამ განსხვავებულ პასუხს იძლევა და მერე იმაზე უნდა იმტვრიო თავი, რომელია ამ სამიდან სწორი და მართალი.

სოციოლოგია, საზოგადოების აზრის და განწყობების კვლევა და შესწავლა, ცხადია, საჭირო და სერიოზული საქმეა, მაგრამ საარჩევნო კამპანიის ციებ-ცხელების დროს რამდენად გამართლებულია, ეს კვლევები საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის, სხვადასხვა მანიპულაციების და სპეკულაციების საშუალებად იქცეს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, არაჯანსაღ აჟიოტაჟს და ვნებათაღელვას იწვევს.

თუ რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციას, გნებავთ, რომელიმე პოლიტიკოსს ან ადამიანთა რაღაც ჯგუფს ძალიან აინტერესებს, რა განწყობებია საზოგადოებაში და რა პროცესები მიმდინარეობს ქვეყანაში, კი, ბატონო, ვისაც უნდა, იმას შეუკვეთოს ყოველივე ამის კვალიფიციური შესწავლა, მაგრამ გამოიყენოს ეს კვლევები შიდა მოხმარებისთვის და არა საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზეწოლისთვის.

ბევრ ქვეყანაში, სადაც მაღალი დემოკრატიული სტანდარტები მოქმედებს, საარჩევნო პერიოდში სოციოლოგიური კვლევების და ელექტორატის წინასწარი გამოკითხვების შედეგად მიღებული მონაცემების გასაჯაროება, ამასთან ერთად, ეგზიტპოლების გამოქვეყნება, კანონით არის აკრძალული.

იქნებ დროა, საქართველოშიც ვიფიქროთ ამ მიმართულებით და ისედაც ნერვებდაწყვეტილი მოსახლეობა ამ უსაგნო და არაფრისმომცემი აჟიოტაჟის გამო დამატებით ნერვების წყვეტას ავარიდოთ.

ხოლო თუ ვინმეს ხმების დათვლამდე გული არ გითხმენთ და წინასწარ გინდათ, გაიგოთ, რა ბედი გელით არჩევნებზე, აგერ ვართ „საერთო გაზეთის“ სამკაციანი ჯგუფი, აგერ არის ქალბატონი გულიკო თავისი კალკულატორით, დაგვიძახეთ, მოვალთ და რამდენიმე საათში ზუსტად გეტყვით ყველაფერს, თანაც ამას ყოველგვარი ანაზღაურების და განსაკუთრებული ვალდებულებების გარეშე გავაკეთებთ.

აბა, თქვენ იცით.

**ვახტანგ ხარჩილავა**



# სხვა გზა არ არის – „ქართული ოცნება“ პორტირებული „ნაცებისგან“ და შინაური მოღალატეებისგან უნდა გაიწმინდოს!

## მაქვს ეჭვი, რომ ვაშაძეს არც 600 000 ხმა მიუღია და არც 800 000 – ყველაფერი ყოფილი „ენჯეოშნიკებით“ დაკომპლექტებულმა ცესკომ გააჩალიჩა



***„სალომე ზურაბიშვილმა არჩევნების მეორე ტურში ასე დამაჯერებლად რომ გაიმარჯვა, ეს ქართველი ხალხის და პირადად ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა“, აცხადებს „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ადვოკატი ნიკოლოზ მჟავანაძე.***

სრულად ვეთანხმები პოეტ დავით მაღრაძის განცხადებას, რომ ეს არჩევნები ქართველმა ხალხმა მოიგო, სახელისუფლებო რესურსები ვისზე მუშაობდა, კაცმა არ იცისო. სახელისუფლებო რესურსების გარკვეული ნაწილი, სალომე ზურაბიშვილის საწინააღმდეგოდ მუშაობდა, ამიტომაც მივიღეთ პირველ ტურში ის შედეგი. სწორედ ამიტომ ჩაერთო ბიძინა ივანიშვილი საარჩევნო პროცესში და ვიღაცების თავების დაგორებაზეც დაიწყეს საუბარი. ვიმეორებ, რომ არა ქართველი ხალხი, არჩევნები წაგებული გვქონდა, რადგან ფაქტობრივად ყველა ტელევიზია, მათ შორის, საზოგადოებრივი მაუწყებელი ნაციონალების მხარეს მუშაობდა.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, საზოგადოებას ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, რომ თითქოს „ქართულ ოცნებას“ არავინ უჭერს მხარს. გვარამიას რომ უსმინო, ყველა ხელოვანი ნაციონალებს უჭერს მხარს, არადა მთელი საქართველო სალომე ზურაბიშვილის მხარეს დგას, მაგრამ ამის აფიშირება არ ხდება. ტელეკომპანია „იმედმა“ ბოლო ხანს პოლიტიკა შეცვალაო, ამას დიდად ვერ ვამჩნევ, 25 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე 100.000 ადამიანი შეიკრიბა, თუმცა „იმედმა“ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ერთი „ლაივიც“ კი არ ჩართეს. სამაგიეროდ, ნაციონალებმა 2000 კაცი რომ შეკრიბეს ფილარმონიაში, ყველა ტელევიზია პირდაპირ ეთერში აჩვენებდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის წამყვანი ირმა ინაშვილს ეუბნება, თქვენს აქციაზე სულ ხანდაზმული ხალხი მოვიდა, ისეთი ხალხი, რომლებიც სოციალურ ქსელთან არ არიან ახლოს, გარიყულებივით არიანო. ჯერ ერთი, იმ აქციაზე ყველა ასაკის ადამიანი იყო, მეორეც ამხელა შეურაცხყოფას როგორ უნდა აყენებდე საზოგადოებას, „რუსთავი-2“-ის ენით ლაპარაკობს იმ ტელევიზიის ჟურნალისტი, რომელსაც ეს ხალხი უხდის ხელფასს. აი, ზუსტად ეს არის მტრობა. თავების დაგორებაზე რომ არის საუბარი, პირველი სწორედ სახელმწიფო არხზე უნდა დააგორონ თავები. „გირჩებისა“ და რესპების გარდა, ამ ტელევიზიაში ფაქტობრივად არავის იწვევენ.

მე მომხრე ვარ, რომ შეიქმნას საზოგადოებრივი დარბაზი, რომლის წევრებიც იქნებიან იგივე დავით მაღრაძე, თქვენი გაზეთის რედაქტორი ბატონი ვახტანგ ხარჩილავა, საზოგადოების სხვა ღირსეული წარმომადგენლები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილს ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდიან. როგორც ჩანს, მინისტრები და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები მას სიმართლეს უმალავენ. ბატონ ბიძინას ობიექტურ ინფორმაციას რომ მივაწვდით, ის აუცილებლად დაინტერესდება და რეაგირებასაც მოახდენს. პირველი ტურის შემდეგ, სადაც სალომე ზურაბიშვილმა მინიმალური სხვაობით გაიმარჯვა, რაც ფაქტობრივად წაგება იყო, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი თურმე დაცარიელებული იყო, კომპიუტერებიც კი წაღებული ჰქონდათ. წარმოიდგინეთ, არჩევნები არ დამთავრებულა, წინ მეორე ტური იყო და შტაბიდან ყველა გაიხვეტა. ამის შემხედვარე ბიძინა ივანიშვილი გაოგნებულა.

ჩემს სოფელში, ჭანიეთში (ოზურგეთის რაიონი) კომუნისტების დროსაც კი არ გაკეთებულა, რაც „ქართული ოცნების“ მმართველობისას გაკეთდა, აშენდა ახალი სკოლა, ახალი საბავშვო ბაღი, ფაქტობრივად ახალი გზა გაკეთდა, ამ დროს პირველ ტურში ნაცების კანდიდატმა გაიმარჯვა ოზურგეთში. ეს იმის ბრალია, რომ ხელისუფლებას არ აქვს ხალხთან კომუნიკაცია.

კარგია „იმედი“ მეორე ტურის წინ მაინც რომ აჩვენებდა 7 ნოემბრის აქციის და მათი ტელევიზიის დარბევის კადრებს, მაგრამ ერთი სიუჟეტი არ გაუკეთებიათ „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში ამდენი სკოლები, საბავშვო ბაღები, გზები და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები რომ აშენდა, ჯანდაცვაში რამხელა სასიკეთო ძვრებია. ისე, კერძო ტელევიზიასთან რა პრეტენზია მაქვს, როცა ხელისუფლება არ აპიარებს რა გააკეთა. „ქართული ოცნების“ მტრები პარტია ნაცმოძრაობაზე მეტად თავად მმართველ პარტიაში ჩაბუდებული ვითომდა ყოფილი ნაციონალები არიან. როგორც ყოფილი „კაგებეშნიკი“ არ არსებობს, ისე არ არსებობს ყოფილი ნაციონალი, ამიტომ სასწრაფოდ უნდა გაიწმინდოს „ქართული ოცნება“ ამ პორტირებულებისგან. როგორ შეიძლება იმის არდაფასება, რაც ირმა ინაშვილმა გააკეთა, ვიღაცას 100.000 კაცის შეკრება ადვილი საქმე ხომ არ ჰგონია? მაინტერესებს, ამ „კრიტიკოსებმა“ ძალიანაც რომ მოინდომონ, ამის მეათედ ხალხს თუ შეკრებენ. მე მეგონა, სალომე ზურაბიშვილი მივიდოდა თავისუფლების მოედანზე შეკრებილ ხალხთან და მადლობას ეტყოდა, ეს ხალხი ხომ მის მხარდასაჭერად შეიკრიბა. ვფიქრობ, ქალბატონი სალომე იმიტომ არ მივიდა მხარდამჭერებთან, რომ მას არ ყავს მრჩევლები, რომლებიც ამას ეტყოდნენ. მე მადლობა მინდა ვუთხრა ირმა ინაშვილს, რომელიც რკინის ლედიც არის, მაია წყნეთელიც, იმიტომ, რომ რაც მან ახლა გააკეთა, გმირობის ტოლფასია. რომ არა ის 100.000 კაცი, არ ვიცი რა შედეგით დამთავრდებოდა არჩევნები. მე პირადად ამდენი ხალხი რომ დავინახე, იმედი მომეცა, ქართველი ერი არ წაქცეულა, თორემ ამ ტელევიზიებს შემხედვარე, იფიქრებ, რომ ყველაფერი დამთავრდა.







**„ქართული ოცნების“ მტრები პარტია ნაცმოძრაობაზე მეტად თავად მმართველ პარტიაში ჩაბუდებული ვითომდა ყოფილი ნაციონალები არიან. როგორც ყოფილი „კაგებეშნიკი“ არ არსებობს, ისე არ არსებობს ყოფილი ნაციონალი, ამიტომ სასწრაფოდ უნდა გაიწმინდოს „ქართული ოცნება“ ამ პორტირებულებისგან. როგორ შეიძლება იმის არდაფასება, რაც ირმა ინაშვილმა გააკეთა, ვიღაცას 100.000 კაცის შეკრება ადვილი საქმე ხომ არ ჰგონია?**

**— გჯერათ, რომ ნაციონალებს 800.000 კაცი უჭერს მხარს?**

— სანამ ამ კითხვაზე გიპასუხებდეთ, მინდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი ე.წ. პოლიტიკოსის ლუსტრაციაც მოხდა, რომლებიც ხალხს მოუწოდებდნენ, არჩევნებზე არ მიხვიდეთო. ნაცმოძრაობას ყავს თავისი ამომრჩეველი, ეს არის სექტა, რომელსაც რა კადრებიც არ უნდა აჩვენო, ვერაფერს შეასმენ, მაგრამ ეს სექტა არ არის მრავალრიცხოვანი. როცა ვამბობთ, პროკურატურა და ძალოვანი სტრუქტურები ნაცებითაა სავსეო, რატომ გამოვრიცხავთ, რომ ცესკოშიც იყოს ეს კონტიგენტი, რომლებმაც ნაცების სასარგებლოდ გააყალბეს ეს არჩევნები? იცით თქვენ, რომ მთელი ცესკო „სამართლიანი არჩევნების“, საიას და სხვა მათი მსგავსი ენჯეოების წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. ამიტომ ცესკოშიც ბევრი რამ არის შესამოწმებელი, ასევე გადასამოწმებელია ის ციფრები, რაც მათ გამოაქვეყნეს. ვიმეორებ, სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება იყო მნიშვნელოვანი გამარჯვება, ბიძინა ივანიშვილისა და ქართველი ხალხის დამსახურება, რომელმაც ბოლო შანსი მისცა „ქართულ ოცნებას“. ახლა მართლა თავებიც უნდა დაგორდეს და „ქართული ოცნებაც“ გაიწმინდოს პორტირებული ნაცებისგან, ამას უკვე თავად ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული ადამიანები ამბობენ. ვინაიდან ამ

9 გვ. →

# პირდაპირ ვამბობ – ამ „მომღიმარი“ ულვაშების უკან, რომელიც ამ მაქცია ვაშაძეს აქვს, დგას ვოვა პუტინი



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი შოთა გლურჯიძე:*

**— ბატონო შოთა, როგორ შეაფასებთ 2018 წლის არჩევნების I და II ტურებს?**

— ამ საკითხზე ძალიან დუალისტური დამოკიდებულება მაქვს. დადებითია ის, რომ არჩევნებში დამოუკიდებელმა კანდიდატმა გაიმარჯვა. მეორე ტურში „ქართული ოცნება“, ფაქტობრივად, ცდილობდა ხალხისთვის საკუთარი თავი გაეხსენებინა და ეთქვა, რომ არჩევნები მანაც მოიგო. ჩვენ, ძალიან მძიმე ბრძოლაში სახალხო პრეზიდენტი მივიღეთ. ეს რაც შეეხებოდა დადებით მხარეს. უარყოფითი ის გახლავთ, რომ ამ ყველაფრიდან არანაირი დასკვნები არ იქნა გამოტანილი. ვფიქრობ, ქალბატონი სალომე, აბსოლუტურად, დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა იქნება. იგი დამოუკიდებელი ადამიანია, ძნელად შეიძლება ვინმემ საკუთარ დღის წესრიგზე გადაიყვანოს. იმედია, კონსტიტუციის ფარგლებში, სალომე ზურაბიშვილი საკუთარი დღის წესრიგის განმსაზღვრელი იქნება, ზღვარს არ გადავა და როგორც ევროპელი ადამიანი წესებს დაიცავს.

ამ გარემოებაში ძალიან დიდი შანსია, პრეზიდენტმა ხელისუფლებასა და ხალხს შორის ჩატეხილი ხიდის გამთელების როლი შეასრულოს, რაც ჩემი აზრით, მეტად შეესაბამება ქართველი ხალხის ეროვნულ ამოცანებს, ვიდრე „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის ატეხილი კინკლაობა. ასე თუ გაგრძელდა და „ქართული ოცნება“ არ გამოფხიზლდა, ის და „ნაცმოძრაობა“ როგორც კარტოფილი ხახვში ერთად მოიხრაკებიან. ეს არის ჩემი პროგნოზი. სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობით შესაძლებელია სხვა დღის წესრიგი გაჩნდეს, შეიქმნას ხალხის ოცნებებისა და სურვილების გამხმოვანებელი მესამე ცენტრი. ჩვენ, ქართველი ხალხი ცალკე უნდა განვიხილოთ. თუ ქალბატონი სალომე შეძლებს ხალხს კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდეს. ზურაბიშვილი შეიძლება ქართველი ხალხის უპირობო ლიდერი გახდეს. თუ სწორად მოიქცევა, მას ამის შანსი აქვს. მისი პირველი ნაბიჯი ძალიან მომეწონა, როცა გამარჯვების შემდეგ საპატრიარქოში უწმინდესს შეხვდა და თქვა: ახლა, ვიგრძენი, რომ საქართველოს პრეზიდენტი ვარო. ეს ძალიან სიმბოლური, სწორი გზავნილი იყო. მას სწორად აქვს აღქმული, რა უნდა ხალხს. ქართველი ხალხის სურვილებისა და მისწრაფებების გამომხატველი ჩვენი სამოციქულო ეკლესია მუდამ იყო, ამაში ეჭვი არ მეპარება. ის ფაქტიც, რომ მან ადმინისტრაციის უფროსად აირჩია ადამიანი, რომელიც ქართულ ეკლესიასთან კავშირშია, ძალიან



მახარებს. ანუ, ზურაბიშვილმა, არჩევანი ამ ჭინკა ლიბერალების წრიდან არ გააკეთა. ლაშა ჟვანიას კარგად არ ვიცნობ, მაგრამ არ მგონია პატრიარქის გვერდით ყოფილიყო ადამიანი, რომელიც ქართველი ხალხისთვის მიუღებელი იქნება.

**— ბატონო შოთა, მთავარ ოპოზიციურ პარტიად კვლავ „ნაცმოძრაობა“ რჩება. გამოდის, იმავე ჯადოსნურ წრეზე ვტრიალებთ?**

— მოდით ვთქვათ: „ნაცმოძრაობა“ ეს არის ცალკე „შპს“ — შეზღუდული პასუხისმგებლობის და აზროვნების საზოგადოება. მეორე მხარეს კი არის ქართველი ხალხი თავისი ტრადიციული პრობლემებით, ადათით, წესით. ჩვენ, სხვადასხვა ხალხი ვართ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სხვადასხვა ნაცია ვართ.

**— ბატონო შოთა, 800 ათასამდე ადამიანმა მხარი ვაშაძეს დაუჭირა. ამას რა ახსნა აქვს?**

— ამ ხალხიდან უმეტესმა ნაწილმა მხარი „ქართულ ოცნებას“ იმიტომ დაუჭირა, რომ მათ „ნაცმოძრაობის“ მობრუნება არ უნდოდათ. მე, მხარი დავუჭირე ქალბატონ სალომეს. ფაქტობრივად, საარჩევნო კამპანიის პერიოდი დისტანცირებულად გავიარე, მაგრამ დახმარებასაც ვცდილობდი. ქართველი ხალხიც, ალბათ, ამ პოზიციაზეა. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ძალას დიდი მატერიალური რესურსი აქვს — „ქართული ოცნების“ უკან დგას ბიძინა ივანიშვილი დიდი ფულით და „ნაცების“ უკან დგას მიხეილ სააკაშვილი ასევე დიდი ფულით. ამ არჩევნებზე ადგილი არ ჰქონდა ერთგულებას როგორც ეს ლევან გაჩეჩილაძისდროინდელი არჩევნების დროს იყო. ქართველი ხალხი ლევან გაჩეჩილაძეს მართლა გულით აძლევდა ხმას იმიტომ, რომ მასში ქართველ კაცს, მათი პრობლემების, ჭირ-ვარამის გამზიარებელს ხედავდა. თუმცა, ვიმეორებ, ამ არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ კი არა, არამედ ქართველმა ხალხმა და მისი სახით, სალომე ზურაბიშვილმა გაიმარჯვა. მან არ უნდა ჩათვალოს, რომ „ქართულ ოცნებასთან“ რაიმე ვალდებულება აქვს. პირდაპირ ვაცხადებ: ქალბატონო სალომე, მე, „ქართული ოცნებისთვის“ არ მიმიცია ხმა, არამედ ხმა თქვენ მოგეცით, როგორც ქართული ეროვნული პოზიციის, ემიგრაციის ღირსეულ წარმომადგენელს. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი არჩევანი იყო.

**— წინ 2020 წლის არჩევნებია, ასე თუ გაგრძელდა გამორიცხული არ არის „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერების რიცხვი გაიზარდოს.**

— მეტი არაა ჩემი მტერი „ნაცმოძრაობა“ გაძლიერდეს. მათ ქართველი ხალხის გულების მოგება არ ძალუძთ. იმედი მქონდა, რომ მმართველ გუნდში პრაგმატულად მოაზროვნე ხალხი იყო, მაგრამ როგორც ცხენები რომელთაც შორებს უკეთებენ, რათა მარტო ერთ მხარეს იყურონ, ქართული ოცნებაც“ ასეა — გვერდზე ვერ იყურება. „ქართული ოცნებისთვის“ ისევე მისაღები აღმოჩნდა სინგაპურის მოდელი, როგორც მიხეილ სააკაშვილისთვის. სინგაპურში ორივე ძალა ვირტუალურ სინგაპურში ცხოვრობს, რომელიც საქართველო არ არის. სულ, ალბათ, 150 კაცი იქნაბა, ხომ. როგორმე ამ 150 კაცის სინგაპურში პორტირება უნდა მოვახდინოთ, ჩვენ კი საქართველოში ვიცხოვროთ. ახლა, დიდი ამბით გვამცნეს, რომ 2019 წელს დედა ენას დააბრუნებენ. შედგება კომისია, რათა დედა ენის რევიზია მოახდინონ. ამდენი საუკუნეა საქართველოში დედა ენის რევიზია არ მომხდარა და ახლა, ზოიძეები და სხვანი ისეთი ჭკვიანები არიან, რომ დედა ენის რევიზია უნდა მოახდინონ?! ეს არის სამარცხვინო.

**— ბატონო შოთა, „ქართული ოცნება“ პორტირებული წევრებისგან უნდა გაიწმინდოს?**

— კი ბატონო, მაგრამ ვინ უნდა გაწმინდოს? ჩვენ შევქმნათ ახალი დღის წესრიგი. თუ ამაში ქალბატონი სალომე დაგვეხმარება, მადლობას გადავუხდით და გვეცოდინება, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ.

ხალხი ეკონომიურად ძალიან მძიმე სიტუაციაშია, განსაკუთრებით, ინტელიგენცია, რომელიც ასფალტზე ხახვს და კარტოფილს ვერ მოიყვანს. შესაბამისად, ინტელიგენცია ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ამიტომ, იმ ძალის ფორმირება, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, ძალიან ძნელია. იმედი არ მაქვს, რომ ამას 2020 წლამდე მოვახერხებთ. შეიძლება პოლიტიკურ ძალებს კიდევაც აწყობთ არჩევნების უფრო ადრე ჩატარება იმიტომ, რომ ქართველმა ხალხმა ძალა ვერ მოიკრიბოს. მოთხოვნა რაც „ნაცმოძრაობიდან“ გაისმა — დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები, შეიძლება „ქართულ ოცნებასაც“ აწყობდეს. ასე მგონია, 2020 წლამდე ვერც „ქართული ოცნება“ მიაღწევს და ვერც „ნაცმოძრაობა“. ახალი ძალა უნდა გამოჩნდეს. მოვუწოდებ ეროვნული განწყობის ადამიანებს, ბიზნესმენებს ჩაიდონ თანხა ამ საქმეში, რათა ეროვნული ძალების კოორდინირება მოხდეს.

**— ბატონო შოთა, საერთაშორისო ორგანიზაციები ცუდად ჩატარებულ არჩევნებზე ალაპარაკდნენ.**

— იცი რა, მოდი სხვა არჩევ-

9 გვ. →





# რევოლუციამისჯილ მიხას ოცნების დასასრული

## „არავითარი მიშა, არავითარი გრიშა“

ერთ დიდ მსახიობს (თუ არ ვცდები, ვასო აბაშიძე იყო) უნიჭო კოლეგა აუტყდა, შენს სპექტაკლებზე არ მეცინებაო. ერთხელ გაუტარა, ორჯერ, სამჯერ, მაინც არ ჩერდებოდა, არ მეცინება და რა ვქნაო? ბოლოს ამოუვიდა ყელში, ავიდა სცენაზე და იქიდან გამოუცხადა: ამ ჩემ ფეხებს, თუ არ გეცინებაო!

ეხლა დედამიწის არამოქალაქე მიხა სააკაშვილი ატყდა ამსტერდამიდან, საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგებს არ ვაღიარებ, ხალხმა გია ვაშაძე აირჩია, პრეზიდენტი ეგ არიო. ერთხელ გავუტარე, ორჯერ, სამჯერ, მაინც არ ჩერდება, არ ვაღიარებ და რა ვქნაო?!

ჰოდა, საჯაროდ ვეუბნები: ამ ჩემ ფეხებს, თუ არ აღიარებ, სულ ერთ ადგილას არ მკიდია?!

ტიპი არ არის არც ერთი ქვეყნის მოქალაქე, მისჯილი აქვს 6 წელიწადი, შეფარებულია სიდედრის





ტრიკოს ტოტის ერთ-ერთ ნაოჭში და მაინც აცხადებს, არ ვაღიარებო. სალომე ზურაბიშვილს ლამის მთელმა მსოფლიომ მიულოცა, სადამკვირვებლო მისიებმაც დადეს ანგარიშები, დარღვევები იყო, მაგრამ მაინც ვემხრობით საქართველოს დემოკრატიასო და ეს კიდევ იმახის, არ ვაღიარებო. ჰოდა, ისევ ვიმეორებ: ამ ჩემ შაშას და კოლას, თუ არ აღიარებ!

თუმცა მიხას არაღიარებას აქვს თავისი მიზეზები: პირველი – მილიონები დახარჯეს მისმა ბიძამ თემურ ალასანიამ, მისმა „ძმაკაცმა“ კობა ნაყოფიამ და კიდევ სხვა „ძმაკაცებმა“, მაგრამ შედეგი მაინც არის ნულის ტოლფასი, გრიშა ვერ გახდა პრეზიდენტი; მეორე – მიხამ იცის, რომ მომავალში ამდენ ხალხს ველარ გადაიყვანს თავის რელსებზე, ისედაც ცალი ფეხით გაქცევაზე არიან ე.წ. ოპოზიციის ე.წ. ლიდერები, მათ კარგად იციან, რომ რევოლუციის არც ტრაკი აქვთ, არც რესურსი და არც ავტორიტეტი საზოგადოებაში; მესამე – სადაც იხარჯება დიდი ფული და ამ ფულის დამხარჯავი ვერ იღებს შედეგს, შემდეგ იწყება დავაგარჩევა და ფულის უკან დაბრუნების პროცესი, უფრო სწორად, მცდელობა. როგორ გგონიათ, ადამიანი, რომელიც მილიონ დოლარს იძლევა ბიძინა ივანიშვილის მკვლელობისთვის, მაჭუტაძეებს, ვაშაძეებს, ქარდავებსა და დავითაიებს რამეს შეარჩენს? თუ არ იქნება რევოლუცია, გაიძვერა თემურ ალასანია ჩაფლავებულ ე.წ. ლიდერებზე დაიწყებს ნადირობას, მაგათ „ჩაპიზდეცებაში“ სულაც არ არის მილიონები საჭირო, მუქდადაც ბევრი გაუერთიანებს თავ-პირს; მეოთხე – ბოლო დროს გავრცელებული ფარული ვიდეოჩანაწერების თანახმად (ეს ისედაც ვიცოდით), მიხა სააკაშვილს თავიდან ბოლომდე მართავს ბიძა, თემურ ალასანია, ის მუდმივად ეჯიჯღინება თავის დის შვილს, რომ არა და არ დადგა შედეგი, ვერა და ვერ დაამხეს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება. აგერ, მილიონები დახარჯეს პირველ ტურში, არაფერი გამოვიდა და ე.წ. ოპოზიცია ისევ ითხოვს ფულს. ამათ მიხა პირდება, წადით, არიეთ სიტუაცია, აქციები გადაიტანეთ თავისუფლების მოედანზე და როცა ძალაუფლებას ჩავიგდებთ ხელში, არ დაგივიწყებთ, ყველას გადაგიხდითო. ესენი, ეს ე.წ. ლიდერები არ და ვერ არიან ის ჩიტები, „პოსლეზე“ რამე ააგორონ. არადა, რუსეთშიც კარგად დაინახეს, თუ როგორ დაირაზმა ერის ჯანსაღი ნაწილი გრიშას წინააღმდეგ და იქიდანაც ეგრევე შეწყვიტეს ფულის გამოგზავნა. არსებობს უტყუარი ინფორმაცია, რომ „ჩერეზ“ ცხინვალი უზალთუნები ბლომად შემოდიოდა!

ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის ქარაქუცა „ნაჩალნიკებს“ უკან დასახევი გზა არ აქვთ, რაც თემურ ალასანიას ჯიბიდან ჭამეს, უკან ამოარწყევინებენ. „რესპუბლიკელებმა“ ვერ მოასწრეს მსუყე ნაჭრის ჩამოჭრა და რევოლუციური გზიდან გადაუხვიეს, აქციას არ შეუერთდნენ. იციან ვირესმაკებმა, ვის როგორ უნდა უღალატონ. „ევროპულმა საქართველომ“ ამ არჩევნებში 10-პროცენტიანი ბარიერი გადალახა, ბიუჯეტიდან 1 მილიონი ლარი დაითრია და ეგენიც გვერდზე გადგნენ, ჩვენ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის უნდა მოვემზადოთო. ამ ვირეშმაკებმაც იციან, ვის რა დროს უნდა უღალატონ!

მიხა სააკაშვილი არც მალავს, რომ მას რევოლუცია სწყურია და ოცნებობს 2003 წლის სცენარზე, როცა დასავლეთ საქართველოდან „იკარუსით“ გამოექანა. ნახეთ, რას აცხადებს:

„როგორც ჩვენ არ მივეცით საშუალება 2003 წელს ედუარდ შევარდნაძეს, გაეხსნა პარლამენტი და ლეგიტიმაცია მოეხდინა გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების, ზუსტად ასევე, 16-ში აპირებენ ესენი პრეზიდენტის ინაუგურაციას. ჩემი აზრით, ქართველმა ხალხმა უნდა თქვას, ჩვენ, მშვიდობიანად, წყნარად, კონსტრუქციულად, ზომიერების და კანონის ფარგლებში, ძალიან აუღელვებლად, მაგრამ ძალიან მასობრივად, არ მოგცემთ თქვენ საშუალებას, ჯიბეში ჩაიდოთ ხალხისგან მოპარული საპრეზიდენტო არჩევნები“.



მიხა კბილებით ებღაუჭება ამ არჩევნების „მონაპოვარს“, მეტი შანსი აღარ იქნება. ის ყველაფერზე მიდის, არც ადრე იყო დალაგებული, მაგრამ ახლა საერთოდ ამოვარდა გრაფიკიდან. არჩევნების ღამეს „ნაციონალების“ შტაბში სკაიპით ჩაერთო და მილანძღ-მოლანძღა ყველა, დიდი თუ პატარა. როდესაც მას უთხრეს, რომ ამ ეტაპზე რევოლუციური სცენარი არ გამოვა, ბიძინა ივანიშვილის მოსყიდულები და მათხოვრები უძახა. ივანიშვილის მოსყიდვაზე რა გითხრათ, მაგრამ მათხოვრები რომ არიან, მაგაში ვეთანხმები. უკვე გითხარით, ამ მათხოვრებს სხვა გზა არ გააჩნიათ, რაკი შევიდნენ სააკაშვილ-ალასანიას ტლაპოში, ბოლომდე უნდა ჩაიხრჩონ!

არ არის ფული, აღარ არის ოვსილა და სურვილი. ამიტომაც გადავიდა „ნაცმოძრაობა“ იაფფასიან ჭორებზე. მაგალითად, ახლა მოიგონეს, რომ თურმე პრეზიდენტის სასახლეში ბერა ივანიშვილი მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად გადადის. მიდის კომენტარები სოციალურ ქსელებში: „არ არსებობს, ამას ქართველი ერი არ დაუშვებს“! რასაკვირველია, ვინც ასეთ კომენტარს აკეთებს, მას სჯერა, რომ ბერა ავლაბრის სასახლეში გადადის საცხოვრებლად. სწორედ ამაზე იტყოდა ხოლმე გაბრაზებული აკაკი წერეთელი – ვაი, ვაი და სხვანიო!

მეორე იაფფასიანი შავი პიარი: ბიძინამ 5-5 კილო კარტოფილი და ხახვი დაარიგა, ანუ ხალხმა გრიშა ვაშაძე კარტოფილსა და ხახვში გაცვალა! ნუ, ეხლა „ნაცებს“ რომ თავში ტვინის ნატამალი არ გააჩნიათ, ეს ვიცით, ცნობილია, მაგრამ ამ დონეზე? ჯერ ერთი, ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს რომ კარტოფილზე გაყიდულს ეძახი, შენ არ გამოდგები არც პრეზიდენტად და არც მინისტრად; მეორე – თუ მილიონზე მატმა ადამიანმა 5 კილო კარტოფილში გაგცვალა, მაშინ გამოდის, ამ 5 კილო კარტოფილის ფასადაც არ ღირხარ!

ნათქვამია, გაჭირვებამ ჩხუბი იცისო. ეს არ არის ნათქვამი მხოლოდ ეკონომიკურ გაჭირვებაზე, აქ იგულისხმება პოლიტიკური თუ ტვინით გაჭირვებაც. ჰოდა, რაკი ამ მხრივაც გადებული აქვთ, ერთმანეთსაც დაერივნენ. ამისი საუკეთესო მაგალითია მიხა სააკაშვილისა და ნილოლოზ გვარამიას კამათი პირდაპირ ეთერში:

მიხა: მე მიმაჩნია, რომ ხალხს ბევრად უფრო წყნარი ცხოვრება უნდა და ნამდვილად არ მესმის თქვენი ეს პიროვნული საუბრები – „მე მიქნეს“ და ა.შ. რა მნიშვნელობა აქვს, თქვენ რა გიქნეს, რა გაწყენინეს?! ამას რა მნიშვნელობა აქვს?! მე ძალიან მიკვირს და თქვენს ადგილზე დავწყნარდებოდი. რომ ამბობთ, „მე მიქნეს„, „ასე ვუზამ, ისე ვუზამ“, რას ბაქიბუქობთ და რას ლაპარაკობთ?! ქვეყანა დაგვენგრა თავზე, ქვეყანა იკარგება.

ნიკოლოზი: რას ჰქვია, „მე რა მიქნეს“, რა მნიშვნელობა აქვს?! მე ამ ქვეყანაში ვცხოვრობ თქვენგან განსხვავებით და ჩემს ოჯახის წევრებს შეეხნენ, ფიზიკურად ეხებოდნენ. მე ამ ქვეყანაში ვცხოვრობ და ფიზიკურად მეხებიან. მე შვილები მყავს ამ ქვეყანაში. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ეს არის ჩემთვის წყალგამყოფი, ჩემს სივრცეში შემოღწევა!

სხვათა შორის, მიხას ყურს ძალიან ცუდად უნდა მოხვედროდა თაკო ჩარკვიანის ნათქვამი ფილარმონიაში – „არავითარი მიშა, არავითარი გრიშა“! ჩარკვიანმა განაცხადა, რომ მან შექმნა ახალი პარტია და იქ ეპატიჟება ყველას. ესე იგი, რა გამოდის? არც მიშა, არც გრიშა, ჩემთან წამოდითო. აშკარაა, შიგნით, ნაცხროვაში მთლად იეს ვერაა საქმე, როგორც მიხას და თემოს უნდათ.

და აი, დადგა 2 დეკემბერიც. დღის 3 საათი. პარლამენტის წინ, რუსთაველის გამზირზე შეიკრიბა 2 ათასამდე სექტანტი. თუ ამას გამოვაკლებთ პოლიციას, ჟურნალისტებს და სხვებს, დარჩება 1500 სექტანტი. ალბათ დამეთანხმებით, არ ჰგავს ეს 700 ათას მხარდაჭერილ აქციას. თუნდაც 3 ათასი იყოს, 5 ათასი, 10 ათასი, მერა რა? უჭირთ „ნაცებს“ ყველანაირად, როგორც ეკონომიკრად, ისე პოლიტიკურად და „ტვინობრივად“.

ასე გასრულდა რევოლუციამისჯილ მიხას ოცნება და ასე დასამარდა ნაციონალური ხროვა. თუმცა ფრთხილად, ქართველებო, ჩვენს გარშემო გველების სისინი კვლავაც ისმის!

**P.S.** მე ვნახე, როგორ იჭინთებოდა რუსთაველის გამზირზე გიორგი ვაშაძე, ნიკანორ მელია, ზაალ უდუმაშვილი, გრიგოლ ვაშაძე და სხვები. ისე იჭინთებოდნენ, გეგონება უთვალავი ლაშქარი მიადგა პარლამენტს და ხმას ვეღარ აწვდენდნენ. ვაი, თქვენს პატრონს, სად არის 700 ათასი ხმა? აი, მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ამათ ხელისუფლებას ცხვირწინ გაუყალბეს არჩევნები და ახლა იქით აბრალებენ გაყალბებას.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61



# სხვა გზა არ არის – „ქართული ოცნება“ პოტირებული „ნაცებისგან“ და შინაური მოღალატეებისგან უნდა გაიწმინდოს!

← 6 გვ.

გამარჯვებაში მთელ ერს მიგვიძღვის წვლილი, ხელისუფლება ვალდებულია გაითვალისწინოს ჩვენი მთავარი მოთხოვნა, დაასრულონ ნაცებთან კოჰაბიტაცია, გაასამართლონ ყველა დამნაშავე ნაციონალი.

საპრეზიდენტო არჩევნების დროს ამ „ენჯეოშნიკების“ სრული ლუსტრაცია მოხდა, ხომ გამოჩნდა ვის წისქვილზე ასხამდნენ წყალს, თავიანთი უპასუხისმგებლო განცხადებებით. ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი ამბობს, ხელისუფლებას მოვუწოდებ, კარვები არ დაშალოს პარლამენტის წინო. რომელ ხელისუფლებას მოუწოდებს, რომლის წარმომადგენელიც თვითონ არის? ამ ქალბატონს თავი ისევ საია-ს თავმჯდომარე ჰგონია, ვის მოუწოდებ, ვიცე-სპიკერი ხარ, თუ რამე გინდა, დაურეკე მინისტრს და უთხარი. სახალხო დამცველზე აღარაფერს ვამბობ. აი, ასეთი მოღალატეებითაა სავსე ეს ხელისუფლება. ირაკლი ღარიბაშვილი და კახა კახიშვილი ჩაჩოჩებული და გადამალული რომ ყავთ, ისინი წამოსწიონ წინ და დანიშნონ თანამდებობებზე, ესენი კი, ვის მიმართაც ხალხში უკიდურესი უკმაყოფილებაა, მოაშორონ ხელისუფლებას, თორემ, როგორც გითხარით, ხალხმა ბოლო შანსი მისცა ხელისუფლებას.



მთლიანად გასაწმენდია „ქართული ოცნება“, განსაკუთრებით მათი პიარ-სამსახურები. ის ხალხი, რომლებიც სახელმწიფოებრივად ვაზროვნებთ, გვაქვს ეროვნული, კონსერვატიული პოზიცები, არჩევნების პერიოდში ტელევიზიებს არ გაგვაკარეს. ხელისუფლების მხარდაჭერილი კანდიდატის დასაცავად ისეთ ხალხს უშვებდნენ, რომლებსაც არ შეუძლიათ პოლემიკასა და დისკუსიაში შესვლა. არჩევნების წინა დღეს შორენა შავერდაშვილი უნდა გეჯდეს, როცა მეორე მხარეს 30–40 ადამიანი ყავს თავისი კანდიდატის დასაცავად? ვინ არის საერთოდ შორენა შავერდაშვილი, ან ის ხალხი ვინც ვითომ მმართველი პარტიის პოზიციას იცავს, იცნობს ვინმე, ან რა პრინციპით შეარჩიეს? ეს არის საინფორმაციო პოლიტიკა? სახელმწიფო სტრუქტურების პიარ-სამსახურის წარმომადგენლები თავიანთ ფოტოებს კი არ უნდა დებდნენ სოციალურ ქსელებში, როგორი კაბა ან საცურაო კოსტიუმი აცვიათ და როგორ „გრიალებენ“ უცხოეთში ვიზიტების დროს, ის ინფორმაცია უნდა გაასაჯარონ ახალი ობიექტები რომ იხსნება და სასიკეთო რაღაც კეთდება. თუ „ქართული ოცნება“ ჭკუას არ ისწავლის და არ შეცვლის პოლიტიკას, ცუდად დაამთავრებს. ქართველი ხალხი უკვე ნაცებს კი არ დაეტაკება, ამათ მოვთხოვთ პასუხს. აუცილებლად უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი დარბაზი, სადაც ვიღაც მოღალატეები კი არ იქნებიან, არამედ საზოგადოებისთვის პატივსაცემი ადამიანები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილს რეალურ ინფორმაციას მიაწოდებენ და იმასაც ეტყვიან, სად რა არ კეთდება სწორად.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24





# ამ „მომღიმარი“ ულვაშების უკან, რომელიც ამ მაქცია ვაშაძეს აქვს, დგას ვოვა პუტინი

← 7 გვ.

ნების გამოხმაურებები ამოვწიოთ და ზუსტად იგივე შეფასებებს დავინახავთ. მაგალითად, მე, საზიზღრობად მიმაჩნია, თუ ადამიანების კარტოფილით მოსყიდვა მართლაც ხდებოდა. მეორე მხრივ, მეგობრები მეუბნებოდნენ, რომ „ნაცებს“ ამომრჩევლისთვის ფული პირდაპირ ტომრებით მიჰქონდათ. ასე ხომ ადამიანს ღირსებას ულახავ. ერთი რამ უდაოდ დადებითია: ამ არჩევნებზე არ ყოფილა პირდაპირი მუქარა, ზეწოლა, ცემა, რაც სააკაშვილის დროს ხდებოდა. ამ მხრივ, წინ ვართ, რაც მნიშვნელოვანია. „ნაციონალებმა“ წინასაარჩევნოდ ყველაფერი იკადრეს, ბრალდებები, ცილისწამება ქალბატონი სალომეს მიმართ თითქოს, იგი მოღალატე ყოფილიყო. როგორც ქართველს, ამ ყველაფერის გამო, მრცხვენია. საერთაშორისო ორგანიზაციები „ქართულ ოცნებასაც“ მხარს უჭერენ და „ნაცმოძრაობასაც“. მათ აწყობთ, რომ პოლიტიკურ ველზე ეს ორი ძალა არსებობდეს. ჩემი აზრით, გარიგების მომენტია ის, როცა „ქართული ოცნების“ ლიბერალი წევრები საუბრობდნენ, რომ პარტიას, თურმე, საერთოდ, არ უნდა დაეყენებინა კანდიდატი. ეს პირდაპირ იმას ნიშნავდა, რომ ისინი „ნაცმოძრაობას“ აბარებდნენ ხელისუფლებას. „ქართულ ოცნებაში“ დიდი ბრძოლა იყო გამართული იმ ხალხთან ვინც თვლიდა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა.

**— არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ სააკაშვილის გაკეთებულ განცხადებებზე რას იტყვით?**

— ამას ისე უბრალოდ ნუ შევაფასებთ, თითქოს, ეს გიჟის ნათქვამია. ჯარშიც, პოლიციაშიც, უდიდესი ნაწილი, „ნაცმოძრაობის“ ყოფილი წევრები, მათი ზონდერები არიან. სააკაშვილს სწორედ მათი იმედი აქვს. ეს ყველაფერი კი „ქართულმა ოცნებამ“ შეინარჩუნა. დიდ ბოდიშს ვიხდი იმ ჯანსაღ ნაწილთან, რომელსაც მართლა შესტკივა საქართველოზე გული, მაგალითად, ზაზა პაპუაშვილს, გედევან ფოფხაძეს და კიდევ რამდენიმე მათგანს. დანარჩენები არც ვიცი ვინ არიან, არც ის მინახავს სად იყვნენ იმ 9 წლის მანძილზე, როცა ჩვენ ვიბრძოდით. ისინი მაშინ „ნაცმოძრაობის“ ოფისებში იყვნენ მოკალათებულნი.

**— სააკაშვილმა რადიკალიზმისკენ მოუწოდა თავის გუნდს და მხარდამჭერებს. საფრთხის შეგრძნება გაქვთ?**

— იცი რა, ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, საფრთხის შეგრძნება სულ უნდა გქონდეს. „ნაცმოძრაობის“ უკან დგას უდიდესი ხიფათის შემცველი ძალა, როგორიც რუსეთის ფედერაციაა. საქართველოში სიტუაციის არევა, რა თქმა უნდა, ქვეყნის სრულ დესტაბილიზაციას გამოიწვევს. შესაბამისად, გაზრდის იმის შანსს, რაც დომბასში და ლუგანსკში მოხდა, საქართველოშიც იგივე განმეორდეს. პირდაპირ ვამბობ: მომღიმარი ულვაშების უკან, რომელიც ამ მაქცია ვაშაძეს აქვს, დგას ვოვა პუტინი. აქედან გამომდინარე, ეს ყველამ უნდა ვიცოდეთ, განსაკუთრებით, იმ ხალხმა, რომელსაც არ უნდა, რომ ისევ საქართველოს ანექსია მოხდეს. ვიმეორებ, საქართველოში დესტაბილიზაცია, სიტუაციის არევა ყველაზე მეტად რუსეთს აწყობს, რომელიც აქ არსებულ 2ათას კაციან აშშ-ს საელჩოს დედაბუდიანად ამოძირკვავს. ეს ამერიკელებსაც უნდა ესმოდეთ. რით ვერ გაიგეს, რომ მიშა ორმაგი აგენტია. ამიტომ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ძალიან სახიფათოა. იმედი მაქვს, ქართველი ხალხი გააცნობიერებს, რომ არეულობას მხარი არ უნდა დაუჭიროს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „ქართულმა ოცნებამ“, თუ სურს, რომ გადარჩეს, დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს შიდა საკადრო რევოლუცია

## ტრამპის ხელისუფლებას ჯერ საქართველოში არ ჩამოუღწევია — ჩვენ ისევ მაკკეინისა და სოროსის ხანაში ვცხოვრობთ...



*გვესაუბრება ანალიტიკოსი სოსო მანჯავიძე:*

**— ბატონო სოსო, მოდით შევაჯამოთ და შევაფასოთ არჩევნების ორივე ტური, როგორია თქვენი შთაბეჭდილებები, რა მოლოდინები გქონდათ და ელოდით თუ არა ასეთ შედეგებს?**

— არჩევნების პირველ ტურში „ოცნების“ გუნდი იმდენად მოუმზადებელი იყო, მეტიც, თითქოსდა იმდენად ყოყმანობდნენ, რომ ხალხი ვერც მიხვდა, უჭერდა თუ არა მხარს ხელისუფლება პრეზიდენტობის დამოუკიდებელ კანდიდატს. რჩებოდა შთაბეჭდილება და იყო კიდევაც მინიშნებები, რომ ხელისუფლება, თითქოსდა მეტი დემოკრატიულობისთვის, აპირებდა მხარი ე.წ. ოპოზიციონერი ბაქრაძის კანდიდატურისთვის დაეჭირა.



ყოველივე ამას ოსტატურად იყენებდა მოწინააღმდეგე, რამაც უდიდესი დაბნეულობა გამოიწვია, როგორც ხელისუფლებაში, ასევე საზოგადოებაში, რასაც ვერ ვიტყვით, კარგად კონსოლიდირებულ ოპოზიციაზე, რომელსაც შესანიშნავად უკვალავდა გზას მოწვეული პიარის სპეციალისტები, კერძოდ, შკლიაროვის ჯგუფი, რომელიც გრიგოლ ვაშაძემ ჩამოიყვანა.

ამას დაერთო ხელისუფლების სრულიად გაუაზრებელი წინადადება მარიხუანის ლეგალიცაზიის თემასთან დაკავშირებით, რაც საზოგადოებამ მკვეთრად უარყოფითად მიიღო. ამაზე ააგო, ფაქტობრივად, გრიგოლ ვაშაძემ მთელი წინასაარჩევნო კამპანია.

მეორე ტურის წინ უკვე თვალნათელი გახდა, რომ „ნაცმოძრაობის“ რევანში რეალური იყო, რაც მანამდე თითქოს არავის არ სჯეროდა. ეს კი, საბოლოო ჯამში, გამოიწვევდა პოლიტიკური ლანდშაფტის ისეთ რღვევას, რომელიც კატასტროფით დამთავრდებოდა „ქართული ოცნებისთვის“. გააცნობიერეს ეს და გაჩაღდა უპრეცედენტოდ აქტიური მუშაობა სალომე ზურაბიშვილის გასამარჯვებლად. ამ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „პატრიოტთა ალიანსმა“ და ტელეკომპანია „ობიექტივმა“. არ შეიძლება მათი ნამოქმედარის უგულებელყოფა.

არჩევნებზე მივიდა უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის ხალხი. მეორე ტური აღმოჩნდა არა მხოლოდ პრეზიდენტის არჩევნების პროცედურა, არამედ ერთგვარი რეფერენდუმი — უნდა თუ არა საქართველოს მოსახლეობას „ნაცმოძრაობის“ მობრუნება?! და მოსახლეობამ ცალსახად განაცხადა, რომ მას არ სურს ხელისუფლებაში კვლავ იხილოს „ნაცმოძრაობა“, მაგრამ მას არ უთქვამს, რომ უნდა „ქართული ოცნება“. ამიტომ, ცოტა არ იყოს, სასაცილოა, „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენლის თავმოწონება და ზეიმი იმაზე, რომ მათ გაიმარჯვეს! საქართველოს მოსახლეობამ უდიდესი სურვილი და ნება გამოხატა ამ არჩევნებზე, ხმამაღლა უთხრა უარი „ნაცმოძრაობას“, მაგრამ ეს, რატომღაც, ვერ გაიგო „ნაცმოძრაობამ“ და კარგად ვხედავთ, რასაც აკეთებენ.



**— რას აკეთებს და რა უნდა გააკეთოს „ქართულმა ოცნებამ“?**

— „ქართული ოცნება“ ვერანაირ პოზიტიურ და ეფექტურ ნაბიჯებს ვერ გადადგამს, თუ არ შეცვალა იდეოლოგია და არ იფიქრა სახელმწიფოებრივად. „ქართულ ოცნებაში“ ე.წ. შიდა „რევოლუცია“ უნდა მოხდეს. ეს „რევოლუცია“ უნდა მოახდინონ იდეურმა, განათლებულმა, გამოცდილმა ადამიანებმა.

**— ბატონო სოსო, რით ახსნით იმას, რომ 780 000 ადამიანი მხარს უჭერს თურმე „ნაცმოძრაობას“. რას ფიქრობთ, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე?**

— ყველგან, ყველა ქვეყანაში, 15-დან 20%-მდე არსებობენ ადამიანები, რომლებიც მშვიდობისა და წესრიგის ლოზუნგით ნებისმიერ რეპრესიას გაამართლებენ.

„ნაციონალებს“, თითქმის ყველას, ერთი და იგივე რამ უდევთ გულში და ტვინში, რასაც ის ცნობილი ნაციონალი ბადრი შუბლაძეც ახმოვანებს — ვინც ციხეებში იჯდა, ვისაც აწამებდნენ, ღირსი იყვნენო, ისეთივე რიტორიკაა, როგორც სტალინის რეპრესიების დროს — „ნევინნიხ ნე ბივაეტო“. ასე იყო გერმანიაშიც.

რასაც ესენი აკეთებენ და ითხოვენ, ეს არის ჩვეულებრივი ფაშიზმი.

სააკაშვილი მოქმედებდა ჩამოყალიბებული იდეოლოგიების მიხედვით. ის მოლაპარაკებული იყო იმაზე, რომ ნებისმიერი მოქმედება, რომელიც გაკეთდებოდა კორუფციასთან ბრძოლისა და დემოკრატიის საფარველქვეშ, იქნებოდა გამართლებული. ის იყო „დემოკრატიის შუქურა“ და საქართველო იყო „ფერადი რევოლუციების“ გავრცელების კერა. ხომ გახსოვთ ყირგიზეთში ბატონი თარგამაძის ჯორით სეირნობა და ა. შ. უზბეკეთში, რუსეთში და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში აპირებდნენ ე.წ. ხავერდოვანი რევოლუციების მოწყობას. ცხადია, ყველაფერი რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული და დასავლეთი ფართოდ დახუჭული თვალებით უყურებდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს — უპრეცედენტო რეპრესიებს და რის გამო და რატომ, ეს უკვე გაშიფრული ფაქტია.

ტრამპის გამარჯვების შემდეგ ჩვენ ვხედავთ „ფერადოვანი რევოლუციების“ დამუხრუჭების ტენდენციებს.





სააკაშვილმა მაშინვე იგრძნო ახალი სიოს ქროლა და უცბათ აიტაცა ის ლოზუნგები, რასაც აჟღერებდა დონალდ ტრამპი მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლება კვლავ ამერიკის დემოკრატიული პარტიის იმ უკიდურესად მემარცხენე ფლანგის იდეოლოგიის მიმდევრად რჩება. ამის შედეგი იყო მარიხუანას თემაც, ლგბტ თემის მხარდაჭერა, ოჯახში ძალადობაზე კანონების შექმნა და ა. შ.

სამწუხაროდ, ტრამპის „ხაზს“ საქართველომდე არ ჩამოუღწევია და ვართ, ფაქტობრივად, გეოპოლიტიკურ ვაკუუმში.

შეიძლება არ გახსოვთ, ამიტომ მე შეგახსენებთ, გრიგოლ ვაშაძე გამოვიდა სტუდენტებთან შეხვედრაზე უნივერსიტეტში და თქვა: მე მრავალი მიზეზის გამო მხარს ვუჭერდი ჰილარი კლინტონს და უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთმა და აშშ-მა შესაძლოა მოილაპარაკონ ისლამურ ტერორიზმთან ბრძოლაში ერთობლივ მოქმედებებზე, მაგრამ ჩვენ არ გვაწყობს, აშშ-მა და რუსეთმა მოილაპარაკონ გლობალურ ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში, რადგან ასეთ შემთხვევაში, რუსეთმა შეიძლება მოითხოვოს თავისი გავლენების აღდგენა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიო.ე.ი. საქართველოს უნდა აწყობდეს, რუსეთმა და აშშ-მა ვერ მოილაპარაკონ და ჩვენ ისეთი პოლიტიკა ვაწარმოოთ, რომ ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ხოლო ჩვენი როლი უნდა იყოს მათ შორის დაპირისპირება. ეს უნდა იყოს ჩვენი ფუნქციაო, ანუ ჩვენ უნდა ვიყოთ პროვოკატორებიო.

2008 წელს ერთხელ უკვე ვითამაშეთ პროვოკატორის როლი.

ახლა რა უნდა გავაკეთოთ? რას გვთავაზობს ბატონი ვაშაძე? — მარტივია. უნდა გავაკეთოთ ტერორისტების ტრანზიტი ჩრდილო კავკასიიდან სირიაში, კვლავ გავხდეთ მსოფლიო ტერორიზმის ოფშორი იმასთან ერთად, რომ უკვე ვართ სათამაშო ბიზნესის, პროსტიტუციის, ნარკოლიბერალიზაციის ოფშორი. ანუ გავხდეთ უკიდურესად რეაქციული დასავლური ძალების დასაყრდენი, იმ ძალებისა, რომლებიც არ დაუშვებენ რუსეთთან არანაირ მოლაპარაკებებს და რითი უნდა მოხდეს ქართველი ხალხის დაყოლიება ამ შენიღბულ პროვოკაციაზე? — რა თქმა უნდა, ურაპატრიოტიზმით!

ურაპატრიოტიზმი უკვე ვიხილეთ არაერთხელ და აპოგეა იყო უკანალების ჩვენების პერფორმანსი სასაზღვრო ზოლთან.

ეს იყო უკიდურესად მნიშვნელოვანი აქტი. მოკლედ, ჩვენ უკანალები ვუჩვენოთ და გავაღიზიანოთ გამძვინვარებული დათვი და გადავიქცეთ, როგორც ვთქვი, გლობალურ პროვოკატორად. ტრაგედია, რაც შეიძლება მოხდეს, ვის კისერზე იქნება, ამას მათთვის მნიშვნელობა არ აქვს.

ახლა ხომ არ არის 2008? არც რუსეთია 2008 წლის რუსეთი, არც 2008 წლის ირანია ჩვენი მეზობელი და არც 2008 წლის თურქეთი. ჩვენი გეოპოლიტიკური ვითარება აბსოლუტურად შეცვლილია და სახეზე გვაქვს ერთი ზესახელმწიფო და ორი რეგიონალური ზესახელმწიფო. ყოველ წუთს, ნებისმიერი გეოპოლიტიკური რყევის შემთხვევაში, ჩვენ განწირული ვართ გადარჩენის ყოველგვარი შანსის გარეშე.

ვიღაცას შეიძლება ჰგონია, რომ იალტის ზავის შემდგომ პერიოდში ვცხოვრობთ, მაგრამ ასე არ არის, მეგობრებო.

დღეს, როცა ვინმე საუბარს იწყებს რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყებაზე, მაშინვე მოედინება ლანძღვა-გინების ნიაღვარი „ნაცმოძრაობისგან“, რადგან მოღალატეების მთავარი მიზანია, შენარჩუნდეს პროვოკატორის ფუნქცია... უნდათ გლობალური დაპირისპირებების პროექცია გადმოიტანონ საქართველოში და ჩვენი ქვეყანა შეწირონ ამ დაპირისპირებას თავიანთი პოლიტიკური და ფინანსური ინტერესების სანაცვლოდ. აი, ეს არის მთელი ალგორითმი, რაც ხდება საქართველოში და ის 780 000 ადამიანი, რომლებზეც ზემოთ ვსაუბრობდით, სრულიად გაუცნობიერებლად ემხრობა „ნაცმოძრაობას“, თუმცა არც ისინი არიან დიდად გათვითცნობიერებულნი, ვინც საწინააღმდეგოდ მისცეს ხმა.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# ორგანიზაციებს, რომლებიც ქვეყნის იმიჯის შელახვაზე მუშაობენ, პასუხი უნდა მოეთხოვოთ!



*გვესაუბრება „იურისტთა და ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ ხელმძღვანელი, ადვოკატი ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ.*

**— ბატონო გრიგოლ, წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნები, რომელსაც აკვირდებოდით, პირველი არ არის. თქვენ ჯერ კიდევ 2012-2013 წლიდან მოყოლებული, ყველა არჩევნებს აქტიურად აკვირდებოდით. რა შეფასებას მისცემთ წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებს?**

— წინა არჩევნებთან შედარებით წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნები გამოირჩეოდა უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც, ფაქტობრივად, გამორიცხავდა გაყალბების შესაძლებლობას.დავინახეთ, რომ ცალკეულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დისკრედიტაციის მიზნით დარტყმა განახორციელეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე, იუსტიციის სამინისტროზე, ძალოვან სტრუქტურებზე, იმ მოტივით, თითქოს ხელისუფლება არჩევნებს აყალბებდა. ეს გახლდათ „ჭიქაში ქარიშხლის“ ატეხვა „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ. მათთვის თამასა რომ აეწიათ, რათა არჩევნების შემდეგ ეყვირათ ნაცებს, არჩევნები გააყალბესო. მათთვის მთავარი მიზანი საერთაშორისო არენაზე ქვეყნის იმიჯის შელახვა გახლდათ. თუმცა არასამთავრობოთა ნაწილს არანაირი ფაქტები არ წარმოუდგენია, სად და ვის მიერ ყალბდებოდა არჩევნები.

**— თქვენმა ორგანიზაციამ და კიდევ რამდენიმე არასამავრობომ მოსთხოვეთ, წარმოედგინათ ფაქტები?**

— დიახ, მოვთხოვეთ, წარმოედგინათ მასალები სამართალდამცავებისთვის. თუმცა ვერანაირი ფაქტები ვერ წარმოადგინეს. ეს კი არა, ახალგაზრდა იურისტების და „გამჭვირვალობა საქართველოს“ წარმომადგენლები „იმედის“ ეთერში თავიანთ ბრალდებებში აიხლართნენ, ხან უარყოფდნენ, ხან კვლავ გაყალბებაზე საუბრობდნენ. აქვე მინდა აღვნიშნო, არასამთავრობოების ნაწილი იმ კოლოსალურ დაფინანსებას, რასაც იღებენ, ქვეყნის იმიჯის შესალახად არ უნდა იყენებდნენ. მინდა მივმართო მედიასაშუალებებს: „იმედს“, „პირველ არხს“, როდესაც ხალხის მიერ შერქმეულ ნაცებთან ასოცირებულ ასო-ებს ართმევთ ინტერვიუებს, ჩვენ, სხვა ორგანიზაციებსაც გვთხოვონ კომენტარი, რომელთაც ალტერნატიული, უფრო არგუმენტირებული და დასაბუთებული პასუხები გაგვაჩნია მათგან განსხვავებით.

**— მათი რისხვის ობიექტი თქვენი ორგანიზაციაც გახდა. რას გედავებოდნენ?**

— არასამთავრობოთა ნაწილმა ჩვენში კონკურენტი დაინახა. ბოლო დღეებში საჯაროდ გვედავებოდნენ, რატომ გვყავს 3 ათასზე მეტი დამკვირვებელი, როდესაც საიას მხოლოდ 400 ჰყავსო. ჩვენი ორგანიზაცია არანაკლები ავტორიტეტით სარგებლობს საზოგადოებაში, ვიდრე სხვები. ეს განპირობებულია ჩვენი ადვოკატების კვალიფიციური საქმიანობით, რომლებიც აქტიურად ვიცავთ ადამიანის უფლებებს. ამიტომაც გამოგვიცხადეს მოქალაქეებმა ნდობა და ამიტომაც გვყავდა ამდენი დამკვირვებელი. მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ მათგანს გაწეული საქმიანობისთვის.

**— ბატონო გრიგოლ, საქართველოში ნორმად იქცა ცრუ ბრალდებები. რა არის გამოსავალი, რათა შეწყდეს ეს მანკიერი ტენდენცია?**

— ცრუ ბრალდებების სპეციალისტები ნაციონალები და მათთან შერწყმული არასამთავრობო ორგანიზაციების სტილია. ვინმეს რაღაც სისულელეს დააბრალებენ, არგუმენტები კი არ მოჰყავთ. ისინი ბოროტად იყენებენ სიტყვის თავისუფლებას. მივმართავ პარლამენტს, ცილისწამების მუხლს თუ არ აღადგენენ, საფრანგეთში არსებული ნორმატივები გადმოიღონ, სადაც ცრუ ინფორმაციის გავრცელება დასჯადია. მომდევნო საპარლამენტო არჩევნები არაკანლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე განვლილი. ამიტომ პარლამენტმა დროულად უნდა შეიმუშავოს ნორმატივები, რათა არავის ჰქონდეს საშუალება, „უპრაგონოდ“ ტალახი ესროლოს რომელიმე ორგანიზაციას ან პიროვნებას.

**— გრიგოლ ვაშაძე დამარცხებას არ აღიარებს. რას ნიშნავს ეს?**

— მიუხედავად ნაციონალების მცდლობისა, დააკნინონ ჩავლილი არჩევნები, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ ლეგიტიმურად ცნო შედეგები. პირველი ტურის შემდეგ ევროპარლამენტარებმა ევროპარლამენტიდან ღიად დაგმეს ქალი პრეზიდენტობის კანდიდატზე ბინძური თავდასხმები. ქალთა უფლებების დამცველებს ამაზე ხმაც არ ამოუღიათ, რაც აღრმავებს ეჭვს, რომ აღნიშნული ორგანიზაციები ნაცებთან და სააკაშვილთან დაკავშირებული არიან, უფრო მეტიც, ნაცებს და მათთან დაახლოებულ ასო-ებს არანაირი შეფასება არ გაუკეთებიათ. გამოდის, იზიარებენ სააკაშვილის ცინიკურ განცხადებებს ევროპარლამენტზე. ახლა საზოგადოება განსჯის, რომელი არასამთავრობოა ობიექტური და რომელი არა, რომელი იმსახურებს ხალხის ნდობას.

კარგია, ხელისუფლებამ აღიარა შეცდომები და ამიტომაც მიიღო ხალხის მხარდაჭერა მეორე ტურში. ახლა მთავარია, შეასრულოს დაპირებები, ჩამოიცილოს „საბოტაჟნიკები“, რომლებიც თავიანთი ქმედებით თუ უმოქმედობით აზიანებენ სახელმწიფო სტრუქტურების რეპუტაციას, რაც ნიჰილიზმს იწვევს საზოგადოებაში, რაც იმ დესტრუქციული პოლიტიკური ძალის წისქვილზე ასხამს წყალს, ვისაც საზოგადოების უმრავლესობამ არაერთხელ უთხრა უარი ბოლო არჩევნებზეც.







**ᲒᲘᲐ ᲑᲣᲠᲓᲣᲚᲘ**
551 71 27 07

# მრცხვენია, რომ სააკაშვილი ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი იყო

2011 წელს, როცა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ღიად გამოუცხადა ბრძოლა ნაციონალების ფაშისტურ რეჟიმს, იმედი მომეცა, რომ ეს ადამიანი იქნებოდა ის კაცი, ვინც მოაშორებდა ქართველ ხალხს ამ სატანას და მეც არც ერთი შეხვედრა და მიტინგი არ გამომიტოვებია, ბიძინა ივანიშვილის მაშინდელ მხარდამჭერებთან ერთად შემოვიარე თითქმის მთელი საქართველო. იმედი არ გამცრუებია და ჩვენ 2012-ში დავამარცხეთ „ნაცმოძრაობა“.

ბატონმა ბიძინამ უდიდესი საქმე გააკეთა, მაგრამ ახლა ისევ წამოყვეს თავი ამ ჯალათებმა, სარეველებივით ისევ აღორძინდნენ ქართველი ხალხის კვლავ დასამცირებლად და დასაჩაგრად და კვლავ ხალხის გვერდში მდგომ ბიძინა ივანიშვილს ემტერებიან.

რა გინდა ივანიშვილთან, შე უნამუსო სააკაშვილო, ათასობით ადამიანს რომ ეხმარება, ამას ვერ იტან, როგორც ჩანს.

ქართველები ხომ ეჯავრება, სააკაშვილს, უკრაინა ხომ მიიყვანა კატასტროფამდე, ახლა ჩვენს უერთგულეს ებრაელ ძმებს გადაემტერა. სააკაშვილი ქართველი ხალხის სახელით ლანძღავს ებრაელებს. ხალხს, რომლებთანაც 26-საუკუნოვანი სიყვარული გვაკავშირებს. მრცხვენია, რომ სააკაშვილი ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი იყო და მე ერთმა ქართველმა ბოდიში მინდა მოვუხადო ებრაელ ხალხს სააკაშვილის ნაბჟუტურების გამო.

სააკაშვილო, შე კურდღელო, უფალი დაგსჯის ჩემი ორჯერ უსამართლოდ დაჭერისთვის და იმ სიბინძურეებისთვის, რაც ჩაიდინე. შენ თვითონ 100 მილიონი რომ წაღლიტე ქართველ ებრაელებს, ისიც გეყოფა ცოდვად და სირცხვილად. არ გაძღა, ეტყობა, შენი მუცელი და კვლავ საქართველოს ბიუჯეტს გინდა დააჯდე წურბელასავით. იმუქრები შორიდან და გადატრიალებას გეგმავ. ვერ ეღირსები! მოგვშორდი, სანამ „ვირის აბანოში“ გიკრავენ თავს. მოასვენე ისედაც ტანჯული ქართველი ხალხი.



**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ (ᲘᲑᲝ) ᲓᲝᲚᲘᲫᲔ**

# აქა ამბავი „მიცემულებისა“ და „შეცემულების“ შესახებ

## „ნაციონალების“ მარცხი სიღნაღში, ანუ რატომ მუშაობდა დავით უსუფაშვილის მამა სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ?





ცხოვრებაში პერიოდულად დგება მომენტი, როცა შენი ძირითადი საქმე გვერდზე უნდა გადადო და წახვიდე იქ, სადაც საჭირო ხარ. არ აქვს მნიშვნელობა, ვინმე დაგიძახებს, ვინმე გთხოვს თუ ვინმე დაგავალებს. როდესაც ჩემი რაიონი (სიღნაღი) საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში „კაგებეშნიკებთან„ დამარცხდა, კალამი (კლავიატურა) გადავდე და წავედი. მე ვერასოდეს დავიჯერებდი და წარმოვიდგენდი, რომ ქიზიყი ოდესმე მგლების ხახაში ჩავარდნას და ავაზაკების თავზე დასმას მოისურვებდა, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი რეალობის წინაშე დავდექით.

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ფრონტზე მივდიოდი... რა გითხრათ, მთლად ფრონტს ვერ დავარქმევ, მაგრამ ბრძოლის ველს კი ნამდვილად ვუწოდებ. ის ადამიანები, ანუ ადამიანის მსგავსი არსებები, რომლებიც ერთ დროს ხელისუფლებაში იყვნენ და რომლებსაც ძალიან კარგად ვიცნობ, ისევ ცდილობდნენ (ცდილობენ) მობრუნებას. ეს ის არსებები არიან, რომლებიც წლების განმავლობაში ჯიჯგნიდნენ რაიონს, სულს ხდიდნენ მოსახლეობას, აყაჩაღებდნენ, აუპატიურებდნენ, ართმევდნენ და მასხრად იგდებდნენ.

როდესაც სიღნაღში ჩავედი, 100 პროცენტით ვიყავი დარწმუნებული, რომ მეორე ტურში აუცილებლად გავიმარჯვებდით, გული ცუდს არ მეუბნებოდა. განსაკუთრებით მოზღვავებულ ძალას გრძნობ, როცა გვერდით ძლიერი მეგობრები გიდნანან და ახლა უკვე შეიძლება მათი დასახელებაც: უპირველესად, მე და ძალიან ბევრს გვქონდა ყოფილი დეპუტატის, წინა მოწვევის პარლამენტარის (2012-იანელის), გელა გელაშვილის იმედი. მართალია, პირველი ტურის შემდეგ „ქართული ოცნების„ საარჩევნო შტაბი მავნე ელემენტებისგან გაწმინდეს და უფროსად ამჟამინდელი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი დანიშნეს, მაგრამ მთელი სიმძიმე მაინც ამ კაცზე გადავიდა.

მოკლედ, ახლა იმაზე უნდა მოგითხროთ, სანამ „დამკაში„ გავიდოდით, რა ხდებოდა და როგორ იბრძოდნენ (გვებრძოდნენ) „ნაცები„. მათი ხელწერა იცით, ამაზე ბევრს აღარ მოვყვები — დაძრწოდნენ უბნებში, დაძრომიალობდნენ და ხალხს აშინებდნენ, ჩვენ უკვე მოვედით, ეს ოფიციალურად 28-ში გაფორმდება, ბიძინა ივანიშვილი ძალაუფლებას ნებით გვაბარებსო. რასაკვირველია, ამ ფანდზე ბევრი ბრიყვი წამოეგო. თან ძნელია, გაუძლო ცდუნებას, როცა კაი თანამდებობას და კაი ცხოვრებას გპირდებიან. რაც უფრო უვიცია ადამიანი, მით მეტი პრეტენზიები აქვს და ესენიც თეორიულად უკმაყოფილებდნენ ამბიციებს. კიიი, ტოოო, ოღონდ ხმა მოგვეცი, ოღონდ შენი ნათესავებიც გადმოიყვანე ჩვენს მხარეზე და გამგებლის მოადგილედ დაგნიშნავთ, ამ სფეროს ჩაგაბარებთ, იმ სფეროს ჩაგაბარებთ, ესა და ეს სოფელი შენი იქნება. მიდიიი, დაპირდი, შენი რა მიდის, როცა უამრავ ბრიყვს სჯერა, რომ ხვალ კაბინეტში გამოიჭიმება?! დღეს „ნაციონალები„ ამტკიცებენ, „ოცნებამ„ ხუთ-ხუთი კილო კარტოფილი და ხახვი დაარიგაო. ჯერ ერთი, მე კარტოფილი და ხახვი საერთოდ არ მინახავს და მეორეც — ფული, ხახვი, მაკარონი, ზეთი და კარტოფილი თავად მათ ჰქონდათ დარიგებული პირველ ტურში. ამიტომაც დადიოდნენ უკვე „მიცებულებთან„ თუ „შეცემულებთან„ მეორე ტურის წინ და სასტიკად აფრთხილებდნენ, ემანდ არ მიჰქაროთ, იმათ მხარეს არ გადახვიდეთ, თორემ დაგიმახსოვრებთ და დედებს მოგიტ...ნავთ, ყველაფერს ასმაგად მოგატანინებთო. რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიც შეშინდნენ „მიცემულები„. მოგეხსენებათ, ამჟამად სოფლებში ძალიან ბევრი მარტოხელა მოხუცია, ბოლო-ბოლო, მაგათ შეშინებას რა უნდა? ასაკოვანი ქალი ვნახე, ტიროდა, პირველი ტურის წინ ცოტაოდენი ფული მიუციათ, ხმა დაითრიეს. მეორე ტურში აღარ მოუნდა ხმის მიცემა „ნაცებისთვის„, მისი სახლიდან „ოცნების„ აგიტატორი დაინახეს გამოსული, ეგრევე დაურეკეს, ბებო, ემანდ არაფერი შეგეშალოს, მავანს რა უნდოდა შენთანო? არა, შვილო, თბილისიდან ჩემ დას „ჩულქები„ გამოუტანებია, ცელოფანით ის მომიტანაო. ახლა „ნაცები„, ის ჩიტები არიან, ეგეთი რამეები ჭამონ? ყველას ყარაულობდნენ სახლის კართან, ვისაც კი პირველი ტურის წინ პატივი სცეს, უცებ „პლასტინკა„ არ გადაატრიალონო, თან ემუქრებოდნენ, უკვე მოვედით ხელისუფლებაში, დედებს გიტირებთო!

ერთი საყურადღებო ფაქტი: სიღნაღში მაცხოვრებელთა უმეტესობას თავში აქვს ჩაჭედილი, რომ ოდესღაც ამ დალოცვილ მიწაზე მოვიდა მზეჭაბუკი მიშა, ჯერ აღაშენა მათ ქალაქი, შემდეგ კი გააბრწყინა. მეტიც, მან შემორეკა ქიზიყსა შინა უთვალავნი ტურისტნი, ვითარცა ყივჩაღნი და დააყრევინა ურიცხვი დოლარი, რუბლი, ევრო, ლირა და ლარი. აი, ასეთი გახლავთ მითი მზეჭაბუკ მიშაზე, მაგრამ სიმართლე ძალიან ცოტან თუ იცის. რა მოხდა სინამდვილეში? ოდესღაც, როცა გაჩნდა იდეა სიყვარულის ქალაქად სიღნაღის გამოცხადებისა, მზეჭაბუკმა მიშამ დაიბარა დეპუტატი თემურ ჩარკვიანი, რომელიც თავადვე ჩაწერა „ნაცმოძრაობის„ საარჩევნო სიაში, რათა ახლოს ჰყოლოდა და კარგად გაეყვლიფა, დაისვა მაგიდასთან და დაავალა, სიღნაღი უნდა გაალამაზო, ფასადები შეღებო, გზები გააკეთო, სახლები გადახურო საკუთარი ხარჯებით, როცა ყველაფერს მორჩები, ბიუჯეტიდან ჩაგირიცხავთ ბოლო თეთრამდე, არ დაგაღალატებთო. თუმცაო, სახურავებზე ბევრი არაფერი დაგეხარჯება, მაგ მხრივ ბიძინა ივანიშვილი დაგეხმარებაო. ჩავიდა ბათუმელი თემურ ჩარკვიანი სიღნაღში, რომელიც დეპუტატობის პარალელურად სამშენებლო კომპანიასაც ხელმძღვანელობდა, დაიწყო ღებვა და მშენებლობა, სახურავებზე ივანიშვილი ზრუნავდა. მორჩა სამშენებლო სამუშაოები, შეიძლება ზოგგან ცოტა უხარისხოდ გაკეთდა, ზოგგან ჭერიდან წყალიც ჩავიდა, მაგრამ საერთო ჯამში მაინც გალამაზდა, მილიონები დაიხარჯა, ქალაქი რაღაცას დაემსგავსა. დადგა დრო ვალის გადახდისა. თემურ ჩარკვიანს ზურაბ ადეიშვილმა და მიშა სააკაშვილმა გამოუცხადეს, ერთ თეთრსაც ვერ მიიღებ, მადლობა გვითხარი, თუ არ გიჭერთო. გადაირია კაცი, თავისას აღარ ჩიოდა, მილიონობით დოლარის სამშენებლო მასალა ჰქონდა შემოზიდული „პოსლეზე„, ყველა ფულს ითხოვდა. თავმოყვარე კაცი გახლდათ ბატონი თემური, შევარდნაძის ეპოქაში მშენებლობის მინისტრი იყო, პირადად ვიცნობდი, თბილისშიც კარგი სახელით სარგებლობდა და ბათუმშიც. გამოსავალი რომ ვეღარ მოძებნა, თავი მოიკლა. თან წერილი დატოვა, ჩემი ოჯახის ცოდვა ადეიშვილისა და სააკაშვილის კისერზე იყოსო. წესით, ამ ფაქტზე გამოძიება უნდა დაწყებულიყო და დამნაშავეები დასჯილიყვნენ. ახლა ერთი გაქცეულია, მეორე კი რევოლუციით გვემუქრება ამსტერდამიდან, თითქოს დასჯილები არიან, მაგრამ ამ კონკრეტულ საქმეზე ბრალი მაინც არ აქვთ წაყენებული. ამის თაობაზე ბევრს ველაპარაკე სიღნაღში, ბევრს ავუხსენი, სინამდვილეში რაც მოხდა, ბევრმა თავი გადააქნია, არ ვიცოდითო... ესე იგი, იმ კაცმა თავი მოიკლაო? ჰო, თავი მოიკლა, ასეთ დღეში ჩააგდეს-მეთქი. თუმცა რა? ისეთებიც გამომიჩნდნენ, რომლებმაც აქეთ შემომიტიეს, შეიძლება სიღნაღი ვიღაც ჩარკვიანმა ააშენა და ბიძინა ივანიშვილმა გადახურა, მაგრამ ხელმძღვანელი ხომ მაინც მიშა იყო, მაგათ ხომ ფული მიშამ აახია. რა უნდა ელაპარაკო ახლა ამნაირებს?

ჩვენ გავიმარჯვეთ, „ნაციონალური„ ბანდა დავამარცხეთ, ხალხის დიდი ნაწილი გამოვაღვიძეთ, გამოვაფხიზლეთ, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება და ყველაზე დიდი პრობლემა იცით, რა არის? 2012 წლის შემდეგ „ქართული ოცნების„ ეგიდით მოსულთა „ბაირამობა„. დღეს ხშირად ვამბობთ, რომ ყველა სახელმწიფო თუ ბიზნეს-სტრუქტურებში „ნაციონალები„ არიან, თავიდან მეც ვეთანხმებოდი აზრს, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრებულიყო სამსახურებიდან პოლიტიკური ნიშნით დათხოვნა, მაგრამ ახლა სხვანაირად ვფიქრობ, რადგან ამ მეთოდმა არ გაამართლა. როდესაც პოლიტიკური ნიშნით აჟიტირებული ადამიანები გიწყობენ საბოტაჟს და ოცნებობენ ხელისუფლების დამხობაზე, ეს უკვე აღარ არის სიტყვისა თუ გამოხატვის თავისუფლება. კი, ბატონო, თუ პროფესიონალი ხარ და ამავე დროს გაგაჩნია განსხვავებული აზრი, ეს არ არის პრობლემა, მაგრამ როცა ამ განსხვავებული აზრით აზიანებ სახელმწიფოს, ეს უკვე მიუღებელი უნდა იყოს. მოგიყვებით ერთ მაგალითს, რომელიც მოხდა დედოფლისწყაროში: ესე იგი, ერთმა გოგონამ თბილისში დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, დაბრუნდა თავის რაიონში და მიაკითხა გამგებელს (მერს), იქნებ სადმე დამასაქმოთო? გამგებელი ნებივრად გადაწვა სავარძელში და ეუბნება — ერთ შეკითხვას დაგისვამ, თუ სწორად მიპასუხებ, დაგასაქმებო. კაი, ასე იყოსო, მიუგო გოგონამ. აბა, თუ იცი, რამდენ კვერცხს დადებს ქათამნახევარიო? რაო? ჰო, ერთი ქათამი ერთ კვერცხს დებს, ეს ვიცით, მაგრამ რამდენს დადებს ერთი ქათამი და კიდევ ნახევარიო? ადგა ბავშვი და უპასუხოდ დატოვა გამგებლის კაბინეტი, თან ცრემლები მოადგა თვალებზე, იგრძნო, რომ მასხრად აიგდეს. მისი ოჯახი „ნაციონალებს„ ებრძოდა 2012 წლამდე, ყოველთვის იყვნენ რისკის ქვეშ, მოვიდა ახალი ხელისუფლება, ახალი გამგებელი და ახლა ეკითხებიან, ქათამნახევარი რამდენ კვერცხს დადებსო? ამას ეკითხება ადამიანი, რომელიც სააკაშვილის დროსაც მშვენივრად იყო და ახლაც მშვენივრად გამოიყურება. თქვენ გგონიათ, ეს ერთადერთი შემთხვევაა? არა, ბატონებო და ქალბატონებო, ასე მოხდა მასობრივად, ვინც კი „ნაციონალებს„ ებრძოდა, ყველა გაირიყა, ყველას პანჩური ამოარტყეს და იმ გოგოს ოჯახიც იმ დონეზე გამწარდა, პირველ ტურშიც და მეორე ტურშიც „ნაციონალების„ მხარეს იყვნენ.

ამდენი მძიმე ამბების შემდეგ აღარ გავიცინოთ, მამაძალი?! რასაკვირველია, უნდა გავიცინოთ, კაი ხასიათზე დავასრულოთ მე წერა, თქვენ — კითხვა. სიღნაღში ყველაზე მაგარი ის იყო, დავით უსუფაშვილის მამა, რომელიც სოფელ ნუკრიანში ცხოვრობს, მთელი ძალებით რომ სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ მუშაობდა. ეს იმ დავითის მამაა, რომელიც მეორე ტურის წინ ტელევიზორში იჭაჭებოდა, ჩემს გემოვნებას არც ერთი კანდიდატი არ აკმაყოფილებს, არც სალომეს ვაძლევ ხმად და არც ამხანაგ გრიგოლსო. მე თუ მკითხავთ, ე.წ. „შუალედები„ უფრო საშიში წარმონაქმნები არიან, ვიდრე თავად „ნაციონალები„. ჰოდა, ეს ის შემთხვევაა, როცა ის ურჩევნია მამულსა, შვილი ვერ სჯობდეს მამასა. ეგრეც არი, დავით უსუფაშვილს გაცილებით უკეთესი მამა ჰყოლია, ვიდრე გვეგონა.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# „ეს რა იყო, ჰა? მაიმუნების „კლეტკასთან“ უფრო მეტი ხალხი იდგა დღეს ზოოპარკში...“

ორ დეკემბერს ნაციონალური მოძრაობის და გაერთიანებული ოპოზიციის აქციაზე, აუუუუუუ!!! რამდენი ვართ!!!! – კი „დასჭექა“ თაკო ჩარკვიანმა, მაგრაააამ დაანონსებული „უამრავი“ ხალხის ნაცვლად მიტინგზე იდგა.

საქმეს ვერც ფეისბუქით გავრცელებულმა მოწოდებებმა უშველა, ვერც მიხეილ სააკაშვილის მიმართვამ: „ჩვენ ყველაფერი გამოგვივა. ჩვენი ბრძოლა აუცილებლად დამთავრდება სრული გამარჯვებით. იმ წამს, როგორც კი თქვენ დაგჭირდებით და დამიძახებთ, იმ წამსვე ფიზიკურად გავჩნდები თქვენ გვერდით, გავჩნდები ლიდერების გვერდით, გავჩნდები ჩვენი ახალგაზრდობის გვერდით. იმიტომ, რომ ჩვენ ყველამ ერთად უნდა დავდოთ თითო აგური ჩვენს გამარჯვებაში. იმიტომ, რომ მე მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე დავნებდე ამ უსამართლობას,“ – განაცხადა იმ მიხეილ სააკაშვილმა რომელმაც არცთუ დიდი ხნის წინ, საყვარელ ბიძია, თემურ ალასანიასთან „ჭუკჭუკში“ დესტაბილიზაციის გეგმების განხილვასთან ერთად აგინა და ლანძღა ქართველი ერი...“ სულისშემძვრელი“ სიტყვებით მიმართა ხალხს ნიკა მელიამ – “ჩვენ გვაქვს ორი არჩევანი, ან შევეგუოთ იმას, რაც ჩაიდინა ხელისუფლებამ, ან ვიბრძოლოთ გამარჯვებამდე. ხელისუფლებამ დანიშნა მესამე ტური და მას ეგონა, რომ ჩვენ ენერგიისგან დავიცლებოდით და მონაწილეობას არ და ვერ მივიღებდით მესამე ტურში. ჩვენ, არა თუ ვიღებთ მონაწილეობას მესამე ტურში, არამედ აუცილებლად გავიმარჯვებთ.“

მურმან დუმბაძის მოთხოვნა გაცილებით პრაგმატული აღმოჩნდა. მან აქციის მონაწილეებს მეორე დღეს, შუშის სასახლესთან შეკრებისკენ მოუწოდა იმისათვის რომ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს, ბიძინა ივანიშვილს ვალების გასტუმრება მოსთხოვონ. საპროტესტო აქციაზე გაჟღერებულ მოთხოვნას, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმრავლესობაში უპასუხეს. ვიცესპიკერმა გია ვოლსკის განცხადებით, ნაციონალები ცდილობენ, რომ შეცდომაში შეიყვანონ მათი მხარდამჭერები, ის 780- ათასამდე ადამიანი, რომელმაც ხმა გრიგოლ ვაშაძეს მისცა. “ოპოზიციაში იქნება პარტიებიც და ხალხიც, ვისაც სხვა მოსაზრება აქვს, მაგრამ არ მგონია, რომ იყოს ხალხი, რომელსაც ის სისხლისღვრა უნდა, რასაც სააკაშვილი გვთავაზობს. დღეს კარგად დავინახეთ ის სერიოზული სხვაობა გარკვეულ პოზიციებს შორის. ერთნი საუბრობენ ლეგიტიმურ გზებზე, მეორენი იმ დაძაბულობაზე, რასაც სააკაშვილი მოუწოდებს. ქართულმა საზოგადოებამ გააკეთა უკვე თავისი სწორი არჩევანი.” იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას შეფასებით კი ხალხმა გადაწყვიტა, რომ დრო არის არა 16 დეკემბრამდე, არამედ 2020 წლამდე. ბესელიამ გრიგოლ ვაშაძეს მიხეილ სააკაშვილის “ხელის ბიჭი” უწოდა და დასძინა “რა დიალოგი უნდა ვაწარმოოთ რუსეთის მსახურთან, ადამიანთან, რომელმაც გადაწყვიტა, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას მიაყენოს შეურაცხყოფა”, დეპუტატის შეფასებით, მაშინ, როდესაც დასავლელი პარტნიორები სალომე ზურაბიშვილს გამარჯვებას ულოცავენ და არჩევნების შედეგებს აღიარებენ, ნაციონალური მოძრაობის ეს განცხადებები კომიკურია... „მრავალრიცხოვანი“ აქციის წინა დღეს სოციალურ ქსელში „ნაცაქტივისტები“ ერთმანეთს ასე ამუნათებდნენ „კვირას როგორც ვხედავ ბევრი მოდის აქციაზე დედაქალაქში და ვინც ვერ ან არ მოდის მომავალში რამეზე დაწუწუნებული არ გნახოთ“ – „სიმართლე რომ ვთქვათ მობილიზებას ცოტა უკეთესი ორგანიზება ჭირდება, ჯერჯერობით მინიმუმ 200 000 კაცის გამოსვლაა საჭირო ვადამდელი არჩევნებისთვის, საერთო რევოლუციას დიდი ესკორტი ჭირდება როგორც წალენჯიხიდან 2003 წელს“. „მინდა და სად არის ტრანსპორტი რა ხდება თქვეთ ინფორმაცია ხალხმა არ იცის და როგორ წამოვიდეს თუ ყველა თავის ხოდით უნდა წავიდეს თუ როდის უნდა დაიდოს ინფორმაცია“. დაგიკავშირდებითო იყო პასუხი და უამრავი კომენტარი თუმცა აქციაზე რვაასიათასის (როგორც ნაცლიდერები მხარდამჭერებს თვლიან)ნაცვლად ოთხიათასამდე „პროტესტანტი“ და ორმოცდათი მიკროავტობუსი იდგა და ელოდა „პროტესტანტებს“ რესპუბლიკის მოედანზე... აქციის წინა ღამეს ჩემი ყურადღება მიიქცია დავით სააკაშვილის „სამადლობელომ“ -„დიდი მადლობა უმაგრესი გურჯაანიდან ყველა იმ ამომრჩეველს ვინც შანტაჟის, ტერორის და მოსყიდვის მიუხედავად მხარი დაუჭირა ოპოზიციას.“ ასევე, „დიდი პოლიტიკოსის“ დავით ნებიერიძის მიერ შიშით გაჯერებულმა „პოსტმა“: „დიდი არჩევანი არა გვაქვს. საქართველოს როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს გადარჩენის ერთად ერთი გზა არის ერთად დგომა და უკომპრომისო ჰიპერაქტიური ბრძოლა. ისეთი აქტიური, რომ ივანიშვილ-პუტინის ტანდემმა ვერ ამოისუნთქოს და ვერ მოახერხოს თავისი გეგმის მეორე ნაწილზე გადასვლა, რომლის დასაწყებად აუცილებელია ოპოზიციის გათიშვა და საპროტესტო მუხტის განელება. არ შეიძლება ტემპის დაგდება და კაბინეტური ბრძოლის რეჟიმში გადასვლა. იმიტომ, რომ მაგ “კაბინეტებიდან” ხელბორკილებით გამოგვიყვანენ, მეთოდურად, ცალ-ცალკე და ღამ ღამობით“.





მეორე ტურის შედეგებით უკმაყოფილებას არ მალავენ სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერებიც. დათო ოქიტაშვილმა სოციალური ქსელით ბიძინა ივანიშვილს მიმართა:

ბატონო ბიძინა!

1. 700 000 ეს ციფრი საარჩევნო კომისიებში მომჯდარმა ნაციონალმა წარმომადგენლებმა შექმნეს!

(ყველაზე არ ვსაუბრობ ვინც თავისი პრაქტიკულად სიცოცხლის ფასად იცავდა ნაციონალების წინააღმდეგ მიცემულ ხმებს!)

2. ეს ციფრი ვაჟბატონმა ვაშაძემ და ნაციონალურმა ხროვამ შექმნა ადრე დაბეჭდილი ყალბი პირადობის მოწმობებით და მათივე შექმნილი სიებით, რომლითაც დღემდე ხდება ხმის მიცემა!

და მესამე და ყველაზე მთავარი!

შეიხედეთ სახელმწიფო სტრუქტურებში, ვინ უზის ახლა ტელევიზორებს და ფრჩხილების კვნეტით შესციცინებს ამ აქციას?

ჩანერგილი ნაციონალები! სახელმწიფო სტრუქტურებში, თანამდებობებზე მომჯდარი ჯალათები, რომლებიც დღეს ვერ გავიდოდნენ აქციაზე, რომ ლუსტრაცია არ მომხდარიყო!

სწორედ მათ და საარჩევნო კომისიებმა შექმნეს 700 000 ნაციონალებისთვის მიცემული ხმა!

ესაა სიმართლე!

გატყუებენ რომ არაა საკმარისი კადრები ქვეყანაში!

ტყუილია, რომ პროფესიონალების ნაკლებობაა სხვადასხვა სფეროში!

ათასობით პროგრესული, თავისი საქმის პროფესიონალი უმუშევარად ზის სახლში! ის ხალხი რომელმაც 9 წელი იომა ნაციონალური რეჟიმის დროს და არ მოუთხოვია თანამდებობები 2012 წლის შემდეგ, ის ხალხი, რომელმაც გარეწარი ჩანერგილების მიერ გაყიდული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური მოიგო თქვენთან ერთად და ელოდება რომ დასრულდება კოჰაბიტაცია და ქვეყანა დაიწყებს წინსვლას! ის ხალხი ვისაც უყვარს ეს ქვეყანა!“ სოციალური ქსელის უამრავი მომხმარებელი ეჭვქვეშ აყენებს „ნაცებზე მიწერილ“ 40% და უკმაყოფილებას გამოთქვამს აღნიშნული ფაქტის გამო. რაც შეეხება ორი დეკემბრის „ხალხმრავალ“ მიტინგს სოციალური ქსელის მომხმარებლები ასე აფასებენ“ – დედააა 800000 ათასი „რჩეული“ ბედაური გამოუყვანიათ ნაცხობას:) ესააა 11 ოპოზიციური პარტიის ნაკრები? ვავაა ნაცებო გახარიამ პოლიცია რო გაიყვანოს და (სუსის ხალხი) + ოპერატორები და ჟურნალისტები აქციაზე ბაჩუკი ქარდავა დარჩება მარტო... გრიგოლ ვაშაძემ, ნაციანალების პრეზომ, რომელზეც თვითონ პატარა ვაშაძე და სააკაშვილი ღადაობენ და კაცის პროვოკაციას ეძახიან, ადგა და მიტინგზე თვალებგადმოკარკლულმა წაუყენა ხელისუფლებას ნაირ-ნაირი მოთხოვნები:

„ეს რა იყო ჰააა, მაიმუნის კლეტკასთან უფრო მეტი ხალხი იდგა დღეს ზოოპარკში; ისე გაბანძდნენ რაოდენობაში, ნუ ხარისხს არ ვახსენებ, მაგათ კიდე მაზოლზე ფეხი ჭირდებათ? ისე გაბანძდნენ დაჟე რუსთავი- 2-მა ჩაიქნია ხელი და რეალურ სურათს აგდებდა ხოლმე“.

„არაორგანიზებული აქციაო და სავსე იყო მარშუტკებით რესპუბლიკის მოედანი და ელბაქიძის აღმართი, პირადობები აფრიალეს და 2 წუთში იუსტიციამ ტყუილში ამხილა, 900-ათასი ვართო და 5000- კაციც ვერ მოგროვდნენ მთელი საქართველოდან და კიდევ ვინმე ენდობით მაგ აფერისტებს?? ნაღდად გაგვიყალბეს ის 40%-იც რა“!

„ესეიგი თქვენი 800000 ფერია და ჩვენი 1200000 არაფერი? „მილიონს ჩემტო“ თქვე ჩემის ბერდენკებო. თქვენ რა გინდათ ხელისუფლებაში თვლა არ იცით დებილოიდებო“ – ვაპროტესტებ არჩევნების შედეგებს!ნაცებს ნაღდად არ აუღიათ 40%! ეგეც გააყალბეს!“.

„ნაცების“ მიერ „მოპოვებული“ 40% მართლაც ბევრ უპასუხო კითხვას ბადებს.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# ძლიერი რეგიონები




## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

• არბოშიკის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელში,,, ორმუღელას“ უბანში, ამჟამად სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს. იდგმება დამატებითი რეზერვუარი ადგილობრივი ჭაბურღილიდან წყლის გადასატუმბად. სამუშაოების დასრულების შემდეგ ეს უბანი სასმელი წყლით მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი. მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დაათვალიერა რეაბილიტაციის სამუშაოები, რისთვისაც დედოფლისწყაროს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 13 000 ლარია გამოყოფილი.

• წყლის ცენტრალური რეზერვუარის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს აგრეთვე ზემო მაჩხაანის ადმინისტრაციულ ერთეულში. პროექტის დასრულების შემდეგ (დეკემბრის ბოლოს) სასმელი წყალი თანაბრად გაუნაწილდება სოფლის მოსახლეობას, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება წყლის მიწოდების ხარისხი, რაც საბოლოოდ მოაგვარებს ზემომაჩხაანელებისთვის სასმელი წყლის მიწოდების პრობლემას. პროექტის ღირებულება 146 000 ლარია.

• დედოფლისწყაროელ ფერმერებს გააცნეს 2019 წლისთვის დაგეგმილი სიახლეები, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურების მიზნით ახორციელებს.

გაისად ფერმერები მოსავლის ასაღები ტექნიკის შესაძენად სახელმწიფოსგან გრანტის სახით 50-პროცენტიან დაფინანსებას მიიღებენ, დანარჩენს კი იაფი აგროკრედიტის ფარგლებში დაფარავენ. ამ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო თანხები 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში უკვე გათვალისწინებულია.

## გურჯაანის მუნიციპალიტეტში

• ქალაქ გურჯაანში ბელიაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია დასრულდა. მოასფალტდა 389 მეტრი სიგრძის გზა და მოეწყო საფეხმავლო ბილიკი. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობით განხორციელდა, რაშიც ჯამში 156 256 ლარი დაიხარჯა.

• გურჯაანში ვაჟა-ფშაველას ქუჩის (ქვაფენილის ზედა მხარის) რეაბილიტაციის ფარგლებში მოასფალტდა 252 მეტრი სიგრძის გზა და მოეწყო სანიაღვრე არხი. ჯამში 110 500 ლარი დაიხარჯა.

• 2019 წლიდან გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსება 330 000 ლარით გაიზრდება. საბავშვო ბაგა-ბაღებში კვების რაციონი გაუმჯობესდება და სამჯერადი იქნება.

• მუნიციპალიტეტში გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს:

სოფელ გურჯაანში — ე.წ. სკოლის გზის 488 მეტრი, დაიხარჯება 246 200 ლარი;

სოფელ ვეჯინში — ე.წ. ჰესის გზის 1060 მეტრი, დაიხარჯება 656 339 ლარი;

ქალაქ გურჯაანში — მაჩაბლის ქუჩის 167 მეტრი, თანხა 88 690 ლარი;

ქალაქ გურჯაანში — წერეთლის ქუჩა, დაიხარჯება 182 324 ლარი;




## მარტვილის მუნიციპალიტეტში

მნიშვნელოვანი პროექტები მარტვილში (2013–2018 წლები)

რეაბილიტირდა 110 კმ გზა;

აშენდა და რეაბილიტირდა 27 ხიდი;

წყალმომარაგების 2 პროექტი;

აშენდა 1 საჯარო და 1 დაწყებითი სკოლა, შენდება 1 საჯარო სკოლა;

რეაბილიტირდა 30 სკოლა;

აშენდა 5 და რეაბილიტირდა 17 საბავშვო ბაღი;

უფასო ტრანსპორტით უზრუნველყოფილია 37 სკოლის 1863 მოსწავლე

შეიქმნა 3 საწარმო;·

დაფინანსდა მიკრო და მცირე მეწარმეობის 38 პროექტი;

შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა 115-მა პირმა;

დაფინანსდა ხეხილის 6 ბაღის გაშენება;

შეიქმნა 14 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი;

დაფინანსდა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია;

ინჩხურსა და კიწიაში აშენდა ამბულატორიები;

განახლდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკი;

ყოველი მესამე და შემდეგი ბავშვის დაბადებისთვის დაწესებული ფულადი დახმარება უკვე მიიღო 320-მა ბავშვმა, ჯამში გაიცა 850 650 ლარი;

სოფელ სერგიეთში რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საფეხბურთო სკოლას და მოეწყო მოედანი;

წლის ბოლომდე გაიხსნება იუსტიციის სახლი.

## სენაკის მუნიციპალიტეტი

• სამხედრო დასახლებაში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა ოჯახებში მალე პირველი გაზქურა აინთება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, დევნილი მოსახლეობისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს. 565 დევნილი ოჯახი სამინისტროს 400-ლარიანი პაკეტის ფარგლებში სრულიად უსაყიდლოდ მიიღებენ ბუნებრივ აირს.

• ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ისულაში გზაზე ერთი ფენა ასფალტი დაგებულია. ამჟამად მეორე ფენა იგება.

## ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

მნიშვნელოვანი პროექტები ჩხოროწყუში (2013–2018 წლები):

რეაბილიტირდა 15 სკოლა;

უფასო ტრანსპორტით უზრუნველყოფილია 20 სკოლის 1736 მოსწავლე;

აშენდა 7 და რეაბილიტირდა 12 საბავშვო ბაღი;

რეაბილიტირდა 50 კმ გზა;

აშენდა და რეაბილიტირდა 12 ხიდი;

დაფინანსდა წყალმომარაგების 2 პროექტი;

დაფინანსდა თხილისა და დაფნის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა;

დაფინანსდა მიკრო და მცირე მეწარმეობის 59 პროექტი;

შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა 144-მა პირმა;

შეიქმნა 12 კოოპერატივი;

დაფინანსდა 42 ჰა ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია;

უძველესი ქართული ფუტკრის მეგრული პოპულაციის აღდგენის მიზნით აღდგა მუხურის მეფუტკრეობის სამეცნიერო-კვლევითი ბაზა;

გაიხსნა საცდელ-სადემონსტრაციო ბაზა ლესიჭინეში;

ახუთის თემში აშენდა ამბულატორია;

განახლდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკი;

ყოველი მესამე და შემდეგი ბავშვის დაბადებისთვის დაწესებული ფულადი დახმარება უკვე მიიღო 204-მა ბავშვმა, გაიცა ჯამში 524400 ლარი

სახლი მიწის ნაკვეთით გადაეცა 25 დევნილ ოჯახს (პროგრამა „სოფლად სახლი“), საცხოვრებელი ფართი დაუკანონდა 52 დევნილ ოჯახს;

რეაბილიტირდა ცენტრალური სტადიონი.

## ბოლნისის მუნიციპალიტეტში

• გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ იმირასანის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალური არხის რეაბილიტაციას ახორციელებს. აღდგენილი საირიგაციო სისტემით ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაპალასა და სავანეთის 2600 ჰექტარ სავარგულზე გაუმჯობესდება წყალუზრუნველყოფა.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ქვემო ქართლის გუბერნატორმა შოთა რეხვიაშვილმა, შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა ოთარ შამუგიამ და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა დაათვალიერეს.

პროექტის ღირებულება 1 895 000 ლარია.

• ბოლნისისა და მარნეულის წყალარინების სისტემის მშენებლობა იწყება. პროექტის დასრულების შემდეგ, კანალიზაციის გამართული ინფრასტრუქტურით სრულად ისარგებლებს ქალაქი ბოლნისი, დასავლეთ ნაწილში კი საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება.

• ქალაქ ბოლნისში ორი საბავშვო ბაღი საზეიმოდ გახსნეს ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილემ ზვიად ჭუნაშვილმა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

• სოფელ მამხუტის მოსახლეობისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა — შიდა საავტომობილო გზის კეთილმოწყობაზე 700 000 ლარი დაიხარჯა და 825 გრძივ მეტრზე დაიგო ბეტონი. პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა.

## დმანისის მუნიციპალიტეტში

• საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა დმანისის მუნიციპალიტეტს ტყის ხანძრებისთვის განკუთვნილი ახალი მანქანა გადაეცა. ახალი მანქანები დამატებით ექვს სახანძრო დეპოში გადანაწილდა: თიანეთში, დმანისში, ქარელში, შუახევში, წალენჯიხასა (დაბა ჯვარი) და ბაკურიანში.

ასეთი მანქანების უპირატესობა რთულ რელიეფურ პირობებში გადაადგილებაა.

## დუშეთის მუნიციპალიტეტში

• დუშეთში რეაბილიტირებული ცენტრალური პარკი გახსნეს საქართველოს ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და

# ძლიერი საქართველოსთვის



დუშეთი

ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა შალვა კერესელიძემ, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის გაერთიანებული ოლქის დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად.

პროექტი მსოფლიო ბანკმა დააფინანსა და სამუშაოებს 2 მილიონ 700 ათას ლარზე მეტი მოხმარდა.

დუშეთის პარკში მოეწყო შადრევანი, სანიაღვრეები და საკანალიზაციო სისტემა, პატარ-პატარა სკვერები და ბილიკები, გამაგრდა საყრდენი კედლები, მოპირკეთდა პარკში მდებარე წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. ჩატარდა პარკის გამწვანების სამუშაოები.

● დასრულდა ფასანაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ცხვედიეთის ელექტრიფიკაცია. სოფელს ელექტროენერგია 30 წლის განმავლობაში არ მიეწოდებოდა, ადგილობრივებს კი ურთულეს პირობებში უწევდათ ცხოვრება.

● ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხადის ხეობაში, მიმდინარეობს ქვეშეთი-წკერეს საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

### ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ინგირში თხილის გადამმუშავებელი ახალი საწარმო ამოქმედდა. სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმო შპს „ჯეო ნათსი" „ერთიანი აგროპროექტის" ფარგლებში შეიქმნა. საწარმოში, ჯამურად, 1558 000 ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 600 000 ლარი გრანტია, ხოლო 779 000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი.

საწარმო წელიწადში 7–10 ტონამდე თხილისგან სხვადასხვა სახის პროდუქციას (მოხალული, დაქუცმაცებული, დაფქული) გამოუშვებს. პროდუქცია მთლიანად ექსპორტისთვის არის განკუთვნილი. გადამმუშავებელ საწარმოში 100 ადამიანია დასაქმებული.

● მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საშეშე მერქნის გადაცემა გრძელდება. მერის მოვალეობის შემსრულებელმა მაიზერ ნანავამ, მერიის გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფისა და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მატერიალური და ფინანსური დახმარების პროგრამის ფარგლებში, საშეშე მერქანი ამჯერად 20 სოციალურად დაუცველ ოჯახს გადასცა. შეშის მომზადების პროცესში, მერიის თანამშრომლებთან ერთად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ჩაერთო.

### ქ. ფოთის მუნიციპალიტეტში

● მდინარე რიონის სარეგულაციო ჰიდროკვანძის რეაბილიტირებული ნაგებობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა, ფოთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ხახუბიამ, ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა გახსნეს.

რეაბილიტაცია შპს „საქართველოს მელიორაციამ" განახორციელა, რაზეც 1336 000 ლარი დაიხარჯა. ჩატარდა ყველა საჭირო სამუშაო იმისთვის, რომ შესაძლო წყალდიდობების შემთხვევაში ნაგებობამ წყლის მაქსიმალური მოცულობა გაატაროს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მომავალი წლიდან მდინარე რიონის სარეგულაციო ჰიდროკვანძის ნაგებობასთან ახლოს მდებარე ხიდის რეაბილიტაციასაც იწყებს.



ფოთი

● „აჭარა ტექსტილე" 1000 ადამიანს დაასაქმებს: ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ, პირველ მოადგილესთან კონსტანტინე თოფურიასთან ერთად, სამკერვალო ფაბრიკაში ახალი საამქროები დაათვალიერა, რომელთა გახსნა უახლოეს მომავალში იგეგმება. „აჭარა ტექსტილე" მეორე ეტაპზე 1000-მდე ადამიანის გადამზადებას და დასაქმებას გეგმავს. კომპანია მსურველებს სხვადასხვა ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად იწვევს. ამ ეტაპზე ფაბრიკაში 900-მდე ადამიანია დასაქმებული, მათ შორის — 600 ფეიქარი. საწარმოში ისეთი ბრენდების პროდუქცია იკერება, როგორიცაა Nike, Puma, Lotto, Erima, ე.წ. Balanceda Under Armour. ნაწარმი საერთაშორისო ბაზარზე „საქართველოში წარმოებულის" სახელით გადის.

### თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● სოფელ ქოსალარში საავტომობილო გზის მოასფალტება მიმდინარეობს. ორწლიანი პროექტის დასრულების შედეგად უსაფრთხო და კომფორტული გზით 600-მდე ბენეფიციარი ისარგებლებს.

● თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე „ირიგაციის და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის" ფარგლებში, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის შიდასამეურნეო ქსელის მოწესრიგების მიზნით დაგეგმილი საპროექტო სამუშაოების განსახილველად, ამავე პროექტის წყალმომხმარებელთა განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელი დავით ქაჯაია და წარმომადგენელი ლადო შონია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

2018 წელს დასრულდა ტბისი-კუმისის საირიგაციო სისტემის ძირითადი/მაგისტრალური სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია, პროექტის მეორე ეტაპზე იგეგმება შიდასამეურნეო ქსელის საპროექტო სამუშაო, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის 20 სოფელს. ესენია: ტბისი, ფარცხისი, საღრაშენი, ბოგვი, ჯორჯიაშვილი, შავსაყდარი, ასურეთი, ბორბალო, ღოუბანი, ვაშლოვანი, ერტისი, მუხათი, კოდა, ძველი მარაბდა, ახალი მარაბდა, ქოთიში, ხაიში, დიდი დურნუკი, პატარა დურნუკი და ქოსალარი.

● სოფელ ასურეთში შვაბების ქუჩის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულდა და II ეტაპის სამუშაოები იწყება. პროექტი ითვალისწინებს XIX საუკუნეში ასურეთში მცხოვრები გერმანელების მიერ აგებული ეკლესიის, სამი საცხოვრებელი სახლისა და სასაფლაოს აღდგენას პირვანდელი სახით.

### მარნეულის მუნიციპალიტეტში

● სოფ. ხანჯიგაზლოსა და კირაჩმუღანლოში მიმდინარე გაზიფიცირების სამუშაოები მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზაურ ტაბატაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ ამირან გიორგაძემ და მარნეულის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა რუსლან ჰაჯიევმა დაათვალიერეს.

გარდა ამისა, სოფელ კირაჩმუღანლოში მიმდინარეობს სასმელი წყლის სისტემის მოწყობაც. მდინარე ხრამის ხეობაში აშენდება ორი ჭაბურღილი, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობის სასმელ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო წყალმომარაგებას.

### ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

● ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა მიმდინარე წლის განმავლობაში მოამზადა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომელიც ნოემბერში კიევში გამართულ ევროკავშირის ინიციატივების — „მერების შეთანხმება" და „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" — ორგანიზებულ კონფერენციას წარუდგინა. გეგმა მოიწონა ევროკავშირის ინიციატივის სამდივნომ და მსოფლიო ბანკმა.



ზუგდიდი

# რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“

რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორანს „ივერონი – ხინკლის სახლი“. უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით აჯილდოებენ. მძლავრი კონკურენციის პირობებში და კულინარიის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ახერხებს „ივერონი – ხინკლის სახლი“ მისი ხელმძღვანელის ქალბატონი **ნინო თევდორაშვილის** თაოსნობით.

რესტორანი დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუსიკოსებით ყოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს.

მიბრძანდით რესტორან „ივერონი – ხინკლის სახლში“. იქ ხელსაყრელ ფასად უგემრიელეს კერძებს მიირთმევთ, შესანიშნავად მოგემსახურებიან და დაუვიწყარ დროსაც გაატარებთ.

**რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“**
ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ წინ.




# წამალი „სალხინო“ ქართული ფლორის საოცრება

პრეპარატს ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.




კომპლექსური თერაპიის დროს გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

ტელ: 577 49-94-84

# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 551 50 89 07


# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

**— ჩემმა ახლობელმა მოიხადა პირობითი მსჯავრი. ითვლება თუ არა იგი ნასამართლეობის მქონე პირად?**

— აღარ ითვლება.

ამ სახის შეკითხვა ხშირად შემოდის ჩვენს რედაქციაში. ამიტომ სრულყოფილი ინფორმაციისთვის წარმოგიდგენთ შესაბამის ნორმას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან.

მუხლი 79. ნასამართლობა

1. მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

2. სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

3. ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებულისა – გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

4. თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული ან თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან.

5. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე.

6. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

* * *

**— როდიდან გაქარწყლდება არასრულწლოვნის ნასამართლობა?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

— მუხლი 12. არასრულწლოვნის ნასამართლობა

1. არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 6 თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ.

* * *

**— გარდამეცვალა ვაჟი. მას ჰყავდა მეუღლე, რომელთანაც ორი წელი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა. მე ჩემს ვაჟს სიცოცხლეშივე ვაჩუქე საცხოვრებელი ბინა. აღმოჩნდა, რომ გარდაცვალებამდე 5 თვით ადრე ისე, რომ მე არაფერი ვიცოდი, ისინი სამოქალაქო წესით დაქორწინებულან. ახლა მისმა მეუღლემ გამომიცხადა, რომ ის ქმრის მემკვიდრეა და მე ვერაფერს მივიღებ. რამდენად სამართლიანია ეს?**

— მეუღლე და მშობელი, სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, არიან პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში, პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები სამკვიდროს მიიღებენ თანაბარზომიერად. შესაბამისად, თქვენი ვაჟის მიერ დატოვებული ქონება გაიყოფა ორ თანაბარ ნაწილად თქვენსა და თქვენ რძალს შორის.


საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001